საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

კვირა, 11 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 154 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 154

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

---

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძველი პარტიული მუშაკის დამფუძნებელ კრების წევრის მრავალ-ტანჯულ ამხანაგის

**ლავროსი კიღურაძის**

უდროოთ გარდაცვალებას.

---

გულ მოწამლულნი: ნათლის დედა ანეტა და ნათლის მამა ალექსანდრე თოხაძენი, მონათლულნი: ზინა, კარლო, ლილი და მარიამნა— მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასის და საყვარელის ნათლიას

**ლავროსი კიღურაძის**

(2248 2—1)

---

თავზარდაცემული ამხანაგი ვანო კომახიძე აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს დამფუძნებელი კრების წევრის ამხ.

**ლავროსი კიღურაძის**

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

(2250 2—1)

---

თავზარდაცემული მშობლები: დომნა გლახუას ასული და ელეფთერ მათეს ძე, ბებია და ბაბუა ალათი და მათე ნიკოლოზის ძე მელაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ

**შიო ელეფთერის ძე მელაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კვირას 11 ივლისს ს. მათხოჯში 12 საათზე. (2252 1—1)

---

დამწუხრებული დედა ესმა იოსელიანისა, შვილები: ნინო და ვლადიმერ ადამიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 ივლისს (პეტრე-პავლობას) დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ანნა ალექსანდრეს ასულის ადამიასი**

სულის მოსახსენებლათ ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში.

---

[illegible]

**ლავროსი პავლეს ძე კიღურაძე**

(6. 1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი [illegible]

**არჩევან ივანეს ძე ურუშაძის**

სულის მოსახსენებლად [illegible]

---

[illegible] უდროოდ დაკარგულის პირველი კურსის სტუდენტის

**ლონგინოზ (კოლია) იაკობის ძე ჯუღელის**

სულის მოსახსენებლად წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2235—1—1)

---

ღრმაც დამწუხრებულნი და თამარა ანდრიას ასული აბაშიძე-ქავთარაძისა, ძმა დავითი აბაშიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ძვირფასი მოწაფე 5 გიმნაზიის VI კლასის

**ელისაბედ (ლილი) აბაშიძისა**

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, კუკიის სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოდან დღის 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე მიხეილის საავადმყოფოში საღამოს 6 საათზე. (2238—1—1)

---

მოულოდნელ უბედურებისაგან ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვალერია (ვალიკო) ილიას ასული და დედა ნინა ივანეს ასული ხოხაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ აჭარაში ბრბოებთან შეტაკების დროს გმირულათ დაიღუპა მათი ერთათ-ერთი ნუგეში მეათე ათასეულის ტყვიისმფრქვეველთა როტის უფროსი გიორგის კავალერიის კაპიტანი

**შალვა (შალიკო) კონსტანტ. ძე ხოხაშვილი**

ორმოცი დღის შესრულების თავზე გადახთილი იქნება წირვა და პანაშვიდი ორშაბათს 12 ივლისს (ახალი სტილ.) 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (2256 1—1)

---

გულდათუთქული მშობლები: ვასილი ქრისტეფორეს ძე, ვალია სანიკიძის ასული და სოკრატი ვასილის ძე ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მისი საყვარელი და დაუვიწყარი, პირველი ორის შვილის და მეორეს ძმის პაწია

**გიორგის (ქორჩიკა)**

უდროოვოთ დაკარგვას, დაკრძალვის დღე 10 ივლისი ქალ. ფოთის ნახუტურის სასაფლაოს გალავანში. (2265 1—1)

---

თამარა, თინა და კოტე აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, 11 ივლისს შუადღის 12 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში ვერაზე იქნება გადახდილი ექვსი თვის პანაშვიდი ძვირფასი და საყვარელი დედის

**კატო მამულაიშვილის-ხოდნევისა**

(2262 1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: კონსტანტინე, არისტო, ანა, ანტონინა და პოლინე ხვთისავარის ასულნი და ძენი, რძლები: ვარინკა და სოფიო, შვილის-შვილები: შალიკო, თამარა, გრიშა კონსტანტინეს ძენი კიკნაძეები და ქეთო და ოლია ნიკოლოზის ასული მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი დედის, მეორენი დედამთილის და მესამენი ბებიის გარდაცვალებას

**დაფინა დავითის ასული იოჩნელი კიკნაძისა**

დაკრძალვა მოხდება 13 ივლისს დილით სამშაბათს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში სოფ. ჩხერში. წირვა და პანაშვიდი ყოველდღე 12 საათზე. (2251 1—1)

---

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თხოვნები მიიღება ყველა ფაკულტეტებზე (სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო საბუნებისმეტყველო და სამკურნალო)

**20 ივლისიდან 1 ენკენისთვემდე.**

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქმნეს: 1) სიმწიფის, 2) მეტრიკული და 3) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობები, 4) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი საქმეებში ჩასაკერებლად და ერთი სემესტრის სწავლის ფული—200 მანეთი. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა აღნიშნონ თხოვნაში, თუ რომელ განყოფილებაზე სურთ (სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და საგრონომიო). მიღებულთა სია გამოკრული იქნება უნივერსიტეტში 15 ენკენისთვიდან. იმ რიცხვიდან შეიძლება სტუდენტთა ლექციებზე ჩაწერის და სხვა წესების მიღება.

(2232—1—1) თფ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამგეობა.

---

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

პროფესორთა საბჭოს დადგენილებისდა თანახმად ამით აცხადებს, რომ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შემდეგი ადგილებია თავისუფალი: 1) მცენარეთა ფიზიოლოგიის და ანატომიის პროფესორების, 2) ზოოლოგიის—1 პროფესორობის მეორე დოცენტობის, 3) საზოგადო მიწათ-მოქმედების პროფესორობის, 4) კერძო მიწათ-მოქმედების პროფესორობის, 5) ზოოტექნიის- [illegible] ... curriculum vitae ... 15 აგვისტომდე [illegible] (2231—1—1)

---

**ორთაჭალის მუშათა კლუბი** [illegible]

(ვორონცოვის ქ.). კვირას, 11 ივლისს გაიმართება

## საღამო სეირნობა.

პროგრამა: ვოდევილი ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზედ; საკონცერტო განყოფილება ოპერის არტისტკების ისეცკი-იოანესიანის, მანდენოვასი და სხვ. მონაწილეობით. ბალეტი. ბაღში სამხედრო მუსიკა. მთელი შემოსავალი გადაიდება ს. ს. დ. მ. პ. სომხური სექციის გაზეთ „ბანვორი ძაინის“ ფონდის გასაძლიერებლათ. (უ. 1—1)

---

**ორშაბათს, 12 ივლისს, საღამოს 5 საათზე, მეექვსე რაიონის მუშათა კლუბის დარბაზში** (ბებუთოვის ქუჩა, № 22) **დანიშნულია სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წევრთა**

## საერთო კრება

**დღის წესრიგი:** 1) მოხსენება გამგეობის, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3) მოხსენება %% გამორიცხვის შესახებ, 4) მოხსენება სახალხო გვარდიის ყველა მუშა მოსამსახურეთა კავშირის სრულ უფლებიან წევრათ ჩარიცხვის შესახებ, 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა და მიმდინარე კითხვები.

წევრების დასწრება სავალდებულოა.

კრება, როგორც მეორე ხელ მოწვეული, გაიხსნება საღამოს სრულ 5 საათზე და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

სახ. გვარ. მუშა-მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა. (2260—1—1)

---

**ძნის შესაკვრელი მანილის კანაფი**

**იყიდება მ. ლ. ლუზინსკის კანტორაში**

დიდი მდავრის ქ. № 34. ტელეფონი: 15—40.

(2200—3—3)

---

## ახალი წიგნი

გამოვიდა გასასყიდათ ს. დოლიძის წიგნი

**„ბუნება და ჯანმრთელობა“**

წიგნში მოთავსებულია ბევრი სასარგებლო ცნობა-დარიგებანი ჯანმრთელობის შესახებ. ახლავს სხემა ტანთ სავარჯიშო სურათების. შეიცავს 100 გვერდს. ღირს ყველგან 50 მ. (2224—3—2)

---

## განცხადება

ქართლის სახელმწიფო მამულის (სოფ. მუხრანში) გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1920 წ. 15 ივნისს, შუადღის 12 საათზე მამულის კანტორაში დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა (ტორგი) ა. წ. მოსავლისა 20 დეს. ხილის ბაღიდგან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ გამოცხადებული ფასის 10 პროც. საწინდრად. ცნობების გაგება შეიძლება ადგილობრივ და აგრეთვე მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. (2207—2—2)

---

**ქართული ბეჭვდითი ამხანაგობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ

**ნოე ჟორდანიას** თხზულებათა სრულ კრებულზე

**ხელის მოწერა** დაისურება 15 ივლისს 1920 წ.

ამ დღის შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება.

(2228—1—1)

---

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია**

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ექსპედიციის შენობაში არის დანიშნული

## საჯარო ვაჭრობა

სამი დღის შემდეგ განმეორებით ყოფილი სანაპირო რაზმის შტაბის (ბროსეს ქუჩა) გადაკეთების საიჯაროთ გაცემაზე. შენობის გადასაკეთებლად არის დანიშნული 5.080.354 მან. იმ პირთ, რომელთაც მოისურვებენ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, უნდა წარმოადგინონ დახურულ პაკეტებში თავისი პირობები 14 ივლისის 12 საათამდე და შემოიტანონ ამ დრომდევე ექსპედიციის კასაში გირაო 10% ზემოაღნიშნული თანხისა.

(6. 2—1)

---

1 ივლისიდან გამოდის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორკვირეული ქართულ-რუსული ჟურნალი

**„საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა“**

ხელის მოწერის ფასი წლის დამლევამდე 1700 მ. ხელის მომწერლებს კვირაში ორჯერ დაურიგდებათ სავაჭრო ბიულეტენები. მისამართი: თფილისი, ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფილი ფრეილინისა) № 11, ტელეფ. 9—18.

(2243—3—1)

---

ორშაბათს, 12 ივლისიდან

**თფილისის გარეუბნის თემის გამგეობა**

ხსნის

## ბოსტნეულობის სავაჭრო დუქანს

(ბაზრის ქუჩაზე).

[illegible] (2233—1—1)

---

## წაღვერში

[illegible] 5—7 საათამდე [illegible] (2246—1—1)

---

[illegible]

## საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) [illegible] 1919—1920 წ. [illegible] 2) [illegible] 1920—1921 წ. [illegible] 3) [illegible] 4) [illegible] (2261—1—1)

---

## ფრანგული ლიცეი თფილისში

რომელიც დამტკიცებულია და სუფსიდიას ღებულობს საქართველოს და საფრანგეთის მთავრობებისაგან. მომზადება სამეცნიერო კარიერისათვის. პარიზის ლიცეების პროგრამა, რომელიც აძლევს შესვლის უფლებას საფრანგეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ფაკულტეტში შესვლისას. მათ შორის las scinces ფაკულტეტზე სწავლება ფრანგულ ენაზე. მიიღებენ ორივე სქესის ბავშვებს 7 წლიანებიდგან. ჯერ-ჯერობით გაიხსნება 5 კლასი: მოსამზადებითი, 1, 2, 3 და 4 კლასი (მომავალ წელში გაიხსნება მეხუთე კლასი და სხვა). სწავლის ფასი 500 ფრანკი წელიწადში. თანხის შეტანა შეიძლება ოთხ ნაწილად. ლიცეი გაიხსნება 1920 წ. 1 ოქტომბრიდგან. მოწაფეთა რიცხვი განსაზღვრულია. გთხოვთ საჩქაროდ ჩაეწეროთ. ჩაწერა 5—7 საათ. საღამოობით ყოველ დღე საფრანგეთის უმაღლეს კურსების დირექციასთან, რტიშჩევის ქ. № 23.

(2118—4—2)

---

## მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა „ქართლი“

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს“ გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასასყიდათ მომზადებული დიდძალი **ზამთრის ხილი**. მსურველთ შეუძლიანთ **დაკვეთა** ხელმისაწვდომ ფასებში

**ფუთობით და ვაგონობით**

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (упаковка). მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი“. **ამხანაგობის გამგეობა.** (2163—6—3)

---

ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს სწრაფათ

**სახლები, აგარაკები, კონება და მიწა**

მიმართეთ

ინტელიგენტთა ჯგუფს

დავითის ქ. № 3, ბინა 2, რუსთაველის პრ. კუთხე.

(2266—1—1)

---

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი**

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

---

კვირას, 11 ივნისს, 10 საათზე გაიცემა

**იჯარით**

ორთაჭალის მუშათა კლუბის

**საზაფხულო ბუფეტი**

მსურველთ შეუძლიან პირობებს გაეცნონ იქვე.

(2245—1—1)

---

## ვრანგელის შეტევა

დენიკინის ლაშქრის დამარცხების შემდეგ ყირიმის ნახევარ კუნძულზე თავი მოიყარა გადარჩენილმა ნაწილებმა გენერალ ვრანგელის მეთაურობით. უკანასკნელ დროს მისი ჯარი შეტევაზე გადავიდა და საგრძნობლად წინ წაიწია. ამნაირად პოლონეთის დიდ ფრონტს ახალი, ეგრეთწოდებული, „ვრანგელის

## გენერალური შტაბის ცნობა

10 ივლისი.

[illegible]

[illegible] თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა ქალ. ბათომში და ოლქში საომარი წესები ცხადდება. მე, რომელიც ბათომის და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისრად ვარ დანიშნული, დღეიდან ჩემი მოვალეობის ასრულებას შევუდექი. მართველობის ყველა ორგანო ვალდებულია მე დამემორჩილოს და ყველა ჩემი განკარგულებანი სისწორით გაატაროს ცხოვრებაში. იმ ნაწილების უფროსებმა, რომელნიც ოლქში არიან დაბანაკებულნი, დროებით, სანამ ჩემ მიერ სათანადო ადმინისტრატიული პირები იქნებოდეს დანიშნული, ვალდებული არიან თავის თავზე მიიღონ, ან ოფიცრებს დააკისრონ მილიციის უფროსების ვალდებულების ასრულება. მოვუწოდებთ მშვიდობიან მცხოვრებთ თავისი საზრიანი მოქმედებით და რესპუბლიკისადმი ერთგულების გრძნობით შეამსუბუქონ ჩვენი დიდი მუშაობა და ხელი შეგვიწყონ წესიერების დამყარებაში, რათა ამგვარათ ოლქი აყვავებისა და კეთილ-დღეობისაკენ წავიყვანოთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამუსლიმანო საქართველოში ავტონომიური მართველობის განხორციელება. მე მრწამს, რომ ყოველი ქართველი მუსულმანი თავის მეჯლისის მეთაურობით ამ დიად საქმის განხორციელებაში ჩვენთან იქნება".

ქ. ბათომის და ბათომის ოლქის განსაკუთრებული კომისარი ჩხიკვიშვილი.

---

ფრონტი" მიემატა და კომუნისტური რუსეთი ისევ საფრთხეში ჩავარდა. რაშია გენერალ ვრანგელის ძალა? ზოგიერთი ცნობების თანახმათ, დენიკინის წოდგილე იმარჯვებს იმიტომ, რომ მან შესძლო გლეხების დაკმაყოფილება მის მიერ გამოცხადებულ მიწის კანონით. ვრანგელის განცხადებით, მემამულეებს მიწები ჩამოერთმევა და ის სახელმწიფო ფონდში გადადის. ჩვენ არ გვჯერა, რომ ვრანგელის პროგრამმა ცხოვრებაში გატარდება. მიწის ჩამორთმევა შეუძლიან მხოლოდ შეკავშირებულ დემოკრატიას. ამ დემოკრატიას ვრანგელი უმასპინძლდება მკაცრი რეპრესიებით. ხოლო მისი აგენტებს (ძველი მეფის მინისტრ კრივოშეინის მეთაურობით), რომელთაც მინდობილი აქვთ კანონის გატარება, ისე აინტერესებთ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ეს აინტერესებდათ წარსულში მათ თანამოაზრეებს. არც შეგნებით, არც მდგომარეობით, ისინი დაინტერესებულნი არ არიან აგრარულ კითხვის გადაჭრით. ამბობენ, რომ ვრანგელმა შესძლო მოეხდინა შეთანხმება უკრაინის ნაციონალურ წრეებთან და პოლონეთთან. ეს შეიძლება მართალი იყოს. მაგრამ თვით სამოქალაქო ომის პროცესში ეს შეთანხმება უნდა დაინგრეს, რადგანაც ის წრეები, რომელსაც ეყრდნობა ვრანგელი, არას დროს არ იცნობენ უკრაინის დამოუკიდებლობას. რაც შეეხება პოლონეთს, მასთან შეიძლება კავშირი უფრო ხანგრძლივი გამოდგეს, მაგრამ ბოლოს რუსის ნაციონალისტი და პოლონეთის იმპერიალისტი აუცილებლივ წაიჩხუბებიან ნადავლის გაყოფის დროს. ამ [illegible] სამხედრო ოპერაციები.

ვინც იცნობს რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორიას, იმას ეჭვი არ შეეპარება, რომ ვრანგელის დროებითი გამარჯვების უმთავრესი მიზეზია კომუნისტების პოლიტიკა. ლენინი სწერდა: რუსის გლეხს ორი სული აქვსო. როდესაც მას მიწას ვაძლევთ, ის ჩვენსკენაა, ხოლო როდესაც მტკიცე ფასებში პურს ვართმევთ, ის ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებაო. რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ სამოქალაქო ომის დროს რუსეთის ჯარები სრულიად უფასოდ ართმევს მცხოვრებლებს არა მარტო პურს, არამედ მთელს მოძრავ ქონებასაც, საკვირველი არ არის, რომ გლეხის მეორე „სული" გამოდის კომუნისტების წინააღმდეგ და უადვილებს ვრანგელს გამარჯვებას.

სამოქალაქო ომი რუსეთში გაგრძელდება იმ დრომდის, სანამ შეკავშირებული დემოკრატია ვერ გამონახავს რაციონალურ გზას შეათანხმოს მუშების და გლეხების ინტერესები. გლეხების ორივე „სულს" ანგარიში უნდა გაუწიონ. თუ ეს ვერ მოახერხა რუსეთის მებრძოლმა ძალებმა, მაშინ ამ დაუსრულებელ ანარქიას და ქვეყნის სიმდიდრის განადგურებას დიდი რუსეთიც თან გადაყვება.

## საბჭოთა რუსეთში

### II

### კომუნისტები და გლეხობა.

როგორც ლენინი ამბობს, ოქტომბრის გადატრიალება ბალშევიკებთან ერთად მოახდინა მთელმა გლეხობამ. ცხადია, გლეხობა თანაუგრძნობდა ბალშევიკებს, ამ შემთხვევაში ბალშევიკები სავსებით მართალი არიან. რევოლიუციაში გლეხობა უმთავრესათ მიწას ეძებდა. ეს ამოძრავებდა მას, ამიტომ ეზხრობოდა და თანაუგრძნობდა ის რევოლიუციას. ეს დამტკიცდა თებერვლის რევოლიუციის დროს. ამ დროს გლეხობა ერთავად რევოლიუციის მომხრე და დამცველი იყო. დროებითმა მთავრობამ ვერ შეიგნო ეს, მან ვერ შესძლო შესაფერი ანგარიში გაეწია და სათანადოთ დაეფასებია გლეხობის როლი რევოლიუციაში და მიწის საკითხის დაგვიანებით დაჭქარა თავის სიკვდილი, გზა გაუხსნა ბალშევიკებს და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება გაუადვილა. დროებითი მთავრობის ეს საბედისწერო შეცდომათაგანი გაკვეთილი შეიქნა ბალშევიკებისათვის და აი იმათაც მიწის საკითხის სწრაფი გადაწყვეტით გლეხობა მიიმხრეს და მით თავის ბატონობა უზრუნველჰყვეს. ეს იყო ბალშევიკების გაბატონების პირველი ხანა. ამ დროს გლეხობა არ იცნობდა კარგათ ბალშევიზმს, არ იცნობდა მათ პროგრამას. არამც თუ მაშინ, დღესაც, როგორც ამბობს კომუნისტი სურგუშევი, „არის ადგილები, სადაც არ იციან, რა არის კომუნისტი და რა არის საბჭოთა მთავრობა".

გავიდა ხანი. კომუნისტები თავის პოლიტიკურ-ეკონომიურ პოლიტიკით პირის-პირ წარსდგენ გლეხობის წინაშე და აი აქ გამოაშკარავდა, თუ რა უფსკრულია მათ შორის, როგორ ეჯავრება გლეხობას ბალშევიკები, რა საფრთხეს უქადის მათ გლეხობა და რა რიგ მიუღებელია გლეხობისათვის ყოველივე ის, რასაც კომუნისტები ქადაგებენ და ცხოვრებაში ატარებენ.

კომუნისტების 8-ე ყრილობამ თავი მოუყარა გლეხობაში მუშაობის მთელ თავის პრაქტიკას და მისი შედეგი იმდენათ დამაფიქრებელი და სახიფათო აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დელეგატი პირდაპირ აცხადებდა: „თუ ასე გაგრძელდა—სულ ახლო ხანში ჩვენ მთელი გლეხობის აჯანყების წინაშე ვიქნებითო".

რამ გამოიწვია და რამ შექმნა ასეთი მდგომარეობა?

ამის პასუხს ჩვენ გავიგებთ იმ კამათიდან, რომელიც დატრიალდა ყრილობაზე და ამავე ყრილობის აგრარულ სექციაში. აი ამ კამათის უფრო საყურადღებო ადგილები.

**მომხსენებელი კარაევი.** „ჩვენ თითქმის არაფერი მიგვიცია გლეხებისათვის. მივცეთ კი უნდა რამე. ის უნდა დავაკმაყოფილოთ რითმე. გლეხობა უკმაყოფილოა, ის პროტესტს აცხადებს. საშუალო გლეხობას სძულს კომუნისტური პარტია. გასულ წელში ის გვიგინებდა და გვლანძღავდა, მარა მაინც გვიჯეროდა, გვენდობოდა და ჩვენ მაგიერი სხვა [illegible] და თქვენ დარწმუნდებით, რომ გლეხობას ჩვენ მთელი თავის არსებით ვსძულვართ. ამის უარყოფა შეუძლებელია. და თუ ამ ჟამად ამ ფაქტიდან არაფერი სერიოზული რამ არ გამომდინარეობს—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მათი შეკავშირება. წვრილ ბურჟუაზიას არ შეუძლია დამოუკიდებლათ გამოვიდეს; ის უძლურია, ის ჩვენ დავაუძლურეთ. წვრილ—ბურჟუაზიული გლეხობა თავის მიზნის მისაღწევათ ეხმარებოდა პროლეტარიატს ძალა-უფლების და ბურჟუაზიული აპარატის ხელში ჩაგდებაში. ის გვეხმარებოდა ბურჟუაზიასთან, კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ჯარვის ამოყრაში (расправляться). ამით გლეხობამ უკვე მოსპო თავის დასაყრდნობი წერტილი.

ოქტომბერში ეს გლეხობა მოგვყვებოდა ჩვენ არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ ძლიერი ვიყავით, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი და მათი ინტერესები ერთმანეთს შეხვდენ. მაშინ ყველა ისინი ბალშევიკები იყვნენ. ახლა ის ჯერ კიდევ ჩვენთანაა. მას ჯერ კიდევ არ შეუწყვეტია ჩვენთან კავშირი სავსებით. მათ უკეთესი დამოკიდებულება აქვთ ჩვენთან, ვინემ თეთრებთან, რადგან იქ არის კოლჩაკი და ფრონტის იქით ის ხედავს მემამულის ფიგურას. მაგრამ ის ჩვენით მაინც მეტად უკმაყოფილოა." (ოქმი. გვ. 206).

რატომ არის გლეხობა უკმაყოფილო? რა იწვევს მათში კომუნისტებისადმი სიძულვილს და კავშირის გაწყვეტას?

ამის პასუხს იძლევა იგივე კურაევი. „მიზეზი ყოველივე ამისა—ამბობს ის—არის პირველ ყოვლისა ჩვენი საერთო კომუნისტური პოლიტიკა, პურის მონოპოლია, პოლიტიკა საქონლის განაწილების სფეროში და სხ. მაგრამ ამავე დროს უნდა განვაცხადოთ სრულიად დაუფარავათ, რომ საბჭოთა ორგანოების ყოფა-ქცევა სოფლათ უმეტეს შემთხვევაში სრულიად დაუშვებელია. გლეხებთან, რომლებიც ძლიერ ხშირათ მზათ არიან „სამოსუდით" გაუსწორდენ ჩვენი პოლიტიკის გამტარებელ მომუშავეთ, უნდა მივიდეთ უბრალოთ და აუხსნათ, რომ საქონლის მიცემა არ შეგვიძლია, პური და არაჩვეულებრივი გადასახადი კი უნდა გადავასდევინოთ. უნდა დაუმტკიცოთ, რომ საბჭოთა მთავრობა მათზე ზრუნავს, თუმცა ამ ჟამად ბევრს ვერაფერს მისცემთ, რადგან წარმოება და ქალაქის მრეწველობა განადგურებულია და სხ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გლეხი პირველ ყოვლისა მიწის მუშაა. და თუ ჩვენ გვინდა რომ საშუალო გლეხობამ ნეიტრალობა მაინც გამოიჩინოს ჩვენს მიმართ,—ამ დარგში უნდა გავაკეთოთ ყოველივე, რის გაკეთებაც კი შეგვიძლია. ჩვენ კი არამც თუ ვაუმჯობესებთ ამ დარგში მდგომარეობას, პირ-იქით, ვანადგურებთ ხლეხ-კაცობის მეურნეობას. მე რომ აქ მომეტანა და თქვენთვის წამეკითხა პროვინციიდან მიღებული ყველა დეპეშები, სადაც ნათქვამია, რომ გლეხებს ართმევენ უკანასკნელ ცხენს, უკანასკნელ პირუტყვს; მე რომ თქვენთვის გადამეშალა სავსებით სურათი ასეთი მტაცებლობისა,—თქვენ დარწმუნდებოდით, რომ გლეხობას სურვილიც რომ ქონდეს, არ შეუძლია ჩვენთან კარგ განწყობილებაში იყოს. და ეს ჩვენდამი გლეხობის სიძულვილი შედეგია არა მარტო იმის, რომ ჩვენ კომუნისტურ პოლიტიკას ვატარებთ, არამედ რამდენიმეთ იმისაც, რომ ადგილობრივი აღმასრულებელნი მეტად ცუდი და უვარგისნი არიან. ამათ წინაამდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული. დაუზოგველათ უნდა გავისროლოთ პარტიიდან ის ელემენტები, რომლებიც ქმნიან ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციას და ნაცვლათ გლეხობის მომხრობისა მათში კომუნიზმისადმი სიძულვილს ნერგავენ და აძლიერებენ". (გვ. 207).

კურაევის ამ მეტად საყურადღებო მოხსენებიდან მკითხველი აშკარათ დაინახავს, თუ რა ურთიერთობაა დღეს გლეხებსა და კომუნისტებს შორის და რომ ყოველივე ამის მიზეზი ყოფილა, თვით მათი მოწმობით, კომუნისტების პოლიტიკა და ამ პოლიტიკის ცუდი და უვარგისი აღმასრულებელნი.

არ ვარგა კომუნისტური პოლიტიკა, კიდევ უფრო უარესია მისი ცხოვრებაში გამტარებელნი, აი ასკვნა და დასკვნა კურაევის მოხსენებისა.

მარა იქნება მარტო კურაევია ასეთი აზრის?

მოუსმინოთ სხვებსაც.

**დელეგატი გარშკოვი.** „მთელი წლის სოფელში მუშაობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ სოციალიზმზე გადასვლა ხანგრძლივი იქნება. მომხსენებელმა სთქვა ერთი შესანიშნავი ფრაზა: უნდა გავყაროთ პარტიიდან ის ელემენტები, რომლებიც კონტრ-რევოლიუციას ქმნიანო. ასეთების პარტიიდან გაყრა მართლაც საჭიროა. მაგრამ ამ გზით თქვენ ვერ მისცემთ გლეხობას ნამდვილ წარმოდგენას საბჭოთა მეურნეობაზე. რა არის საბჭოთა მეურნეობა? გაბედავს ვინმე თქვენთაგანი თქვას, რომ მან იცის ერთი მაინც ხეირიანათ მოწყობილი მეურნეობა მთელ რუსეთში? ვინც გაცნობილია საბჭოთა მეურნეობასთან, რომელიც ანადგურებს იმ მცირე ინვენტარსაც კი, რომელიც ჩვენა გვაქვს და რომელიც კი არ ამაღლებს და ავითარებს, არამედ ჰკლავს და ასუსტებს იმ მცირე კულტურასაც კი, რომელიც შევრჩა,—ის იტყვის, რომ თუ სოციალისტური მიწათ-მოქმედების ერთად ერთი ფორმა არის საბჭოთა მეურნეობა, ის ძირიანათ უნდა შეიცვალოსო". (გვერ. 209).

**დელეგატი ლიშაევი.** კომუნები, რომელიც ჩვენ შევქმენით პენზის გუბერნიის ერთ მაზრაში, დაირღვა და გაქრა. კომუნაში არც საშვალო გლეხობა შევა, არც „კულაკი". მიდის მხოლოდ სოფლის [illegible] ქონდა, არც ინვენტარი, არც ცხენი. მივიდა ტიტველ კედლებში და სიმშილით კინაღამ მოკვდა. ახლა ვეძახით მათ საბჭოთა მეურნეობაში."(გვერ. 210).

**დელეგატი ივანოვი.** ამხანაგ კურაევის მოხსენებაში ჩვენ ვერაფერი ვერ დავინახეთ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის იმ ფორმაზე, რომელიც სოფელს მეტად აღელვებს. მას შემდეგ, რაც სოფელში დარწმუნდნენ, რომ კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ არ ვარგა, დაიბადა დიდი ინტერესი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ფორმა სოფლის მეურნეობისა და როგორ უნდა დაიმუშავონ მიწები. გლეხებმა, რომლებსაც შეეძლოთ დაეთესათ არა ათი დესეტინა, არამედ 15,—დღეს მხოლოდ მისთვის სამყოფი დათესა და მოტივათ ის მოიყვანეს, რომ არ ვიცით ჩვენი ნათესი ვის დარჩებაო. მე ბევრ გლეხთან მქონდა ლაპარაკი და ყველა ასე მეუბნეოდა; „ჩვენ აქამდე არ ვიცით ვისარგებლებთ მიწებით, თუ არა და როგორ გინდათ მის დამუშავებას შეუდგეთო!". ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა გლეხი წვრილი ბურჟუაა, ის კერძო მესაკუთრეა და სურს ქონდეს „ხუტორი". „ხუტორზე გასვლა—ეს მისი უპირველესი სურვილია". (გვერ. 219).

**დელეგატი პამფილოვი.** მე მინდოდა ამხანაგებო, მეთქვა, რომ ჩვენ დეკრეტები და ინსტრუქციები ბევრი გვაქვს, მუშაობა კი წინ არ მიდის. უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მიუდგეთ გლეხებს. მიხვალთ ქალიდან სოფელში და შენ გეკითხებიან:

„Чего пріѣхал сюда?", говориш: „пріѣхал устраиват ячейки, артели комунистическіе".—„А ты керосину привез? А соли привез? —Нѣт. — „Ну, так проваливай". (გვერ. 226).

**დელეგატი საველიევი.** „ამხანაგებო! მე მგონია დიდათ არ შევცდები, თუ ვიტყვი რომ ყველაზე უფრო ბოროტი მტერი ჩვენი არის ამ ჟამად წვრილი გლეხობის დიდი უმრავლესობა. ჩვენში, ფატეჟის მაზრაში (კურსკის გუბერნია), სადაც ჩვენ დიდიხანია ვმუშაობთ და შედარებით საკმაო ფართო მასშტაბით—გვყავს ათას-ხუთასი პარტიის წევრი, მარა ატმოსფერა მეტად გაელვარებულია. უმთავრესი მიზეზი არის—არაჩვეულებრივი გადასახადი. ამ გადასახადმა დიდი დეზორგანიზაცია შეიტანა გლეხობაში". (გვერ. 226).

**დელეგატი კვასნიკოვი.** „მე უნდა მოგახსენოთ, რომ სოფლიდან მხოლოდ კვნესა ისმის, რომ საქმე კატასტროფამდეა მისული. მოდიან ამხანაგები და თავზე თმებს იგლეჯენ ყველა იმის მოგონებაზე, რაც იქ ხდება. პირველ ყოვლისა ეს არაჩვეულებრივი გადასახადი. ამ გადასახადის ნიადაგზე იშლება მთელი დრამა თანამედროვე მომენტისა. მეორე მხრით ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ზოგადი დებულებებით. საჭიროა კონკრეტიული პუნქტები და აი იმ პუნქტში, სადაც ამხ. მილიუტინი ბოროტ-მოქმედებაზე ლაპარაკობს, უნდა ჩაემატოს, რომ გაუქმებული იქნება ის დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლის საბჭოების ხელახლა არჩევნებს, რადგან ამ ნიადაგზე ხდება შეტაკებანი და ბოროტმოქმედებანი. გლეხობას უნდა მოახდინოს ხელახალი არჩევნები და выжат тот голо вотяскій комунизм, რომელიც გამეფებულია ბევრ ადგილას". (გვერ. 227).

**დელეგატი პახომოვი.** ფრთხილი მოპყრობა გლეხებისადმი სავალდებულოა სოფელში მომუშავე კომუნისტისათვის. ჩვენ მეტად დავაშინეთ გლეხობა. მე მოგიყვან თქვენ ერთ ეპიზოდს, რომელიც მოხდა გლეხების ყრილობაზე. შეიკრიბა ათას კაცზე მეტი გლეხთა წარმომადგენელი. მთელი სამი საათის განმავლობაში იყო კამათი კომუნის შესახებ. მთელი სამი საათი უმტკიცებდი მათ კომუნისტურ მეურნეობის უპირატესობას. პასუხათ კი მეუბნებოდნენ: „ყველაფერი ქონით, ყველაფერი იქადაგეთ, ყველაფერს ხმას მოგცემთ,—კომუნას კი არაო". სამი საათის მტკიცების შემდეგ ათას კაცში მხოლოდ ორმა მისცა ხმა კომუნის შემოღებას. ჩვენ ვერ შევსძელით დაგვერწმუნებია გლეხების უმრავლესობა ღარიბები კოლექტიური მეურნეობის შემოღების აუცილებლობაში. საშუალო გლეხობას იმდენათ უყვარს ეს კერძო საკუთრება, რომ მისი გულისთვის მზათაა ყველაფერზე, თვით რევოლიუციაზედაც კი უარი სთქვას". (გვერ. 309).

**დელეგატი სახნოვსკი.** როცა ჩვენ ვკითხეთ ამხ. ლენინს—როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ საშუალო გლხობა ჩვენ მოგვემხროს, რა შეგვიძლია მათ მივცეთ, — ამხანაგმა ლენინმა სთქვა: „Накормит мы его не можем, мануфактуры дат не можем, дат такую программу, которая удовлетворяла бы его собственническіе инстинкты, не можем, но можем перестат безобразничат и вести башибузукскую политику, которую ведут провинціальные товарищи, начиная от уѣзда и кончая губерніей. (გვერ. 149).

ვინ აწარმოებს ამ ბაშიბუზუკურ პოლიტიკას?

ესენია კომუნისტების საბჭოები და მათი კომისარები.

როგორ იქცევიან და რაში გამოიხატება მათი „ბაშიბუზუკობა"?

მეგობარი.

## ბათომი ს დღესასწაული

(წერილი ბათომიდან)

### ბარცხანაში.

ბარცხანა,—ეს ბათომის „ნაძალადევია", ბათომის პროლეტარული უბანი. ბარცხანა ძველი რეჟიმის დროს მუშათა მოძრაობის გული, რევოლიუციონური ბრძოლის კერა იყო. ბარცხანამ დღესაც კარგათ შეინახა თავის გულში და მე[illegible] ტრადიციები—ხსოვნა სარდაფებში წარმოებულ გმირულ ბრძოლისა.

ბათომში მიმავალ ჩვენს ჯარს ქობულეთიდან ბარცხანაზე უნდა გაევლო. ბარცხანის მცხოვრებლებმა არ იცოდნენ ჩვენების შესვლის დღე და საათი, მათთვის ეს არ უცნობებიათ. და აი 4 ივლისს, კვირას, დილა-ადრიან ჩვენი გვარდია და ჯარი მოულოდნელათ შედის ბათომის „ნაძალადევში."

წინ მიდის ინგლისელების „დრეზინა", მას მიჰყვება ცარიელი მატარებელი; ამის უკან ჯავშნიანი მატარებელი, შემდეგ ჯარებით დატვირთული დიდი მატარებელი, კიდევ ჯავშნოსანი და მეორე ეშელონი. ორთქმავლები და ვაგონები მორთულია ყვავილებით და გირლიანდებით. ბარცხანის დასახლებულ ნაწილის წინ შეგროვილან ლტოლვილი—ბერძნები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიით მიდიან სამშობლოსაბერძნეთში; ისინი გამოცვივდნენ თავიანთ „პალატკებიდან" და არაჩვეულებრივის მეგობრობით, აღფრთოვანებული ძახილით—„გაუმარჯოს საქართველოს!" ესალმებოდენ ბარცხანისაკენ ნელა მიმავალ მატარებლებს.

აუწერელია ის აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს ბარცხანის მცხოვრებლებმა. შევიდა თუ არა მატარებელი ბარცხანის მიდამოებში, მყისვე გამოეგებენ სახლებიდან მცხოვრებლები. ის შეხვედრა, რომლის მოწმეც ჩვენ ვიყავით, არ გამოითქმება სიტყვა „მისალმებით" და „ოვაციებით"; ეს იყო უფრო მეტი, ეს მოაგონებდა ადამიანს მშობლის მიერ დიდი ხნის დაშორებულ შვილის შეხვედრაო. ბევრს სიხარულის ცრემლი სდიოდა. პატარა ბავშვების აღტაცებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა; ისინი ჩვენს ჯარს ფეხებში უვარდებოდენ,—ჯარისკაცებს და აფიცრებს ეხვეოდენ, ჰკოცნიდენ. აგერ ერთ ადგილას სდგას პატარა სამი წლის ყმაწვილი საშა ებრალიძე, რომლის ბავშური ღიმილი და აღტაცება სიხარულის ცრემლებს ჰგვრის ბრძოლაში გაკაჟებულ მეომრებს.

ბარცხანაში ბევრი ძველი რევოლიუციონერები არიან, რომლებიც უხმოთ მუშაობდენ და ახლაც მუშაობენ რევოლიუციის და დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ეს „ბებრები" ცნობილობენ თავიანთ ძველ მეგობრებს და თანამებრძოლებს: ვლასა მგელაძეს, ალექსანდრე დგებუაძეს და სხვებს. ეხვევიან ერთმანეთს, იგონებენ რევოლიუციონურ ბრძოლის ხანას, სარდაფებში წარმოებულ მუშაობას და ცხოვრებას. მიდიან იმ სახლის სანახავად, სადაც წინათ მოთავსებული იყო საიდუმლო სტამბა, ლაბორატორია და ყუმბარების საწყობები.

ასე შეხვდა ბარცხანაში მხედრობას ჩვენი დემოკრატია. შეიძლება ასე მწვავეთ არავინ გრძნობდა ბათომის ოლქის ჩამოშორებას, როგორც ბათომ-ბარცხანის პროლეტარული გვარდია. და არავის არ შეეძლო ისეთი აღტაცების და სიხარულის გამოთქმა საქართველოს დემოკრატიის მხედრობის ბათომში შესვლით, როგორც ეს იგრძნო ბარცხანის ხალხმა.

### ბათომში შესვლა.

7 ივლისამდე ჯარები ბარცხანაში დარჩნენ. ბარცხანის მიდამოების სახლები, ტელეგრაფის ბოძები დროშებით და გირლიანდებით იყო მორთული. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო არკები, მისასალმებელი წარწერებით. ბათომიდან ჩამოვიდნენ ბარცხანაში ქართველი მუსულმანები, რომლებიც ესალმებიან ჩვენს ჯარს და გამოსთქვამენ სიხარულს.

7 ივლისს მთელი ქალაქი ქართული დროშებით იყო მორთული, ყველა სახლებზე, მაღაზიებზე, ავტომობილებზე, ეტლებზე საქართველოს დროშები ფრიალებდა. ზოგიერთ ადგილას უცხო სახელმწიფოთა დროშებიც მოსჩანს: საბერძნეთის, პოლონეთის, სომხეთის და სხვა. აივნებზე ხალიჩები გამოფენილი. საქართველოს დროშები ზოგიერთ ხომალდებზედაც მოსჩანს. ბათომში არ მგონია მომსწრე იყოს თავის ქუჩების ასეთი სიცხოვლისა. ის ქუჩები, რომლითაც ჯარებმა უნდა გაიარონ, სავსეა ხალხით. ვინც ყოფილა ბათომში ამ რამოდენიმე კვირის წინათ, მას თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ქუჩებში აღარ შეხვდებით მდიდრულათ ჩაცმულ ქალებს და კაცებს, რომელთა ხელობაც მხოლოდ სპეკულიაცია არის. ხალხში მომეტებული ნაწილი ქართველები, ბერძნები, სომხები და ებრაელები არიან. ძლიერ ნაკლებად სჩანან რუსები. ზოგიერთ ადგილას შეხვდებით მოხალისეთა აფიცრებსაც (რომლებიც ძლიერ გულმოდგინეთ სამხედრო სალამს აძლევენ ჩვენ ჯარებს). წესრიგი ყველგან საუცხოოა. წესრიგს იცავენ მოქალაქენი, რომელთაც გულზე ნაციონალური დროშის ფერის ნიშნები აქვთ გაკეთებული.

დილიდანვე ბარცხანისაკენ იწყო დენა ავტომობილებმა, ეკიპაჟებმა, ქვეითა მგზავრებმა: ბარცხანაში მოვიდნენ: მეჯლისის მამედ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით და ქალაქის ყველა ნაციონალურ საბჭოთა წარმომადგენლები.

11 საათის დასაწყისში ჯარები დაიძრა ბარცხანიდან ქალაქისაკენ. წინ ცხენებით მიდიან: მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე, შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე, გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, გენ. ი. გედევანიშვილი. მათ მიჰყვებიან ქვეითი ჯარი, ტყვიის მფრქვეველები, არტილერია, გვარდიელთა კავალერია და გვარდიელთა ქვეითი ნაწილი.

მტკიცე ნაბიჯებით და დინჯათ მიდის ჯარი ქალაქისაკენ. ბარცხანის თაღს იქით ჯარი დგება, გენერლები და ვ. ჯუღელი ჩამოდიან ცხენებიდან და იღებენ მისალმებას მეჯლისიდან და ნაციონალურ საბჭოთა წარმომადგენლებისაგან. მეჯლისის თავმჯდომარე მამედ-ბეგ აბაშიძე და ქალაქის თვითმართველობის [illegible] მთავარსარდლის წინაშე პურ-მარილით. მ. ბ. აბაშიძისა და ჯაფაროვის შემდეგ ჩვენს სარდლობას მისასალმებელი სიტყვებით გამართავენ: ბერძენთა (ბათომის ბერძენთა ნაციონალური საბჭო, ბერძენთა და საბერძნეთის ელლინთა ნაციონალური საბჭო საქართველოში), სომხეთა, პოლონელების, ებრაელთა წარმომადგენლები. მისასალმებელ სიტყვებს ჰფარავს იქვე შეგროვილ დიდძალ მოქალაქეთა დაუსრულებელი ტაშის ცემა.

ნავთსადგურზე ზღვის ნაპირათ ჯარს ხვდებიან დამფუძნებელი კრების წევრები ის. რამიშვილის მეთაურობით. ამხ. რამიშვილი მოკლე მისასალმებელ სიტყვით მიმართავს მთავარ სარდალს.

აქვე ხვდება ჯარს გენ. კუკ-კოლისი.

ჯარები შედიან ცენტრში; მათ წინ მიუძღვებიან მეჯლისი, ნაციონალურ საბჭოთა წარმომადგენელნი და დამფუძნებელ კრების წევრები. ქუჩების ორივე მხარე, მოედნები, სახლების მოაჯირები სავსეა მოქალაქეებით. მქუხარე ოვაციები და აღფრთოვანებული მოლოცვა მიაცილებს ჯარებს. ტროტუარებიდან და მოაჯირებიდან ჯარებს ყვავილებს ესვრიან.

ალექსანდრეს ბაღის შესახვევთან მთავარსარდალი და შტაბის უფროსი ჩერდებიან და უშვებენ ჯარებს. ბაღის ორივე მხარეზე შეგროვდენ მოქალაქენი, რომლებიც ხვდებიან და აცილებენ ჯარებს ოვაციებითა და აღფრთოვანებულის მისალმებით. ჯარში სცვივა ყვავილები; ჯარისკაცები იღებენ ყვავილებს და მხურვალე „ვაშათი" უპასუხებენ მისალმებებზე.

ჯარისკაცები საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებენ: მოსულნი, ჯანმრთელები, მხიარულები, სადღესასწაულო გამომეტყველება და ბრძოლის ნიშნები სახეებზე. რამდენი სიმხნევე, თავის თავის რწმენა და ძლიერებაა ჩაქსოვილი ამ დინჯ მოძრაობაში, ამ მზისგან გადახრუკულ, მაგრამ გამარჯვების დღესასწაულის შეგნებით გაბრძყინებულ სახეებზე! და რამდენათ განსხვავდებიან ესენი იმ უბედურ, მოწამლულ ჯარისკაცებისაგან, რომლებიც 2 წლის წინეთ უწესრიგოთ დაეხეტებოდენ ამავე ქუჩებზე, შეშინებულნი იხედებოდენ ირგვლივ და ყოველ ნაბიჯზე ელანდებოდათ არ არსებული ღალატი! რა დიდი განსხვავებაა! და ეს მაშინ, როდესაც ესენიც და ისინიც ერთ და იმავე ხალხის შვილებია! მაგრამ ისინი მონობაში აღიზარდენ. ესენი კი—თავისუფლების შვილებია, აღზრდილნი არიან თავისუფალ ხალხის მიერ, იბრძოდენ მხოლოდ ხალხის საქმისათვის. ეს—ჭეშმარიტათ რესპუბლიკანური, დემოკრატიული ჯარია, ეს თვით ხალხია, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა თავისი თავისუფლება და იარაღით იცავს მას. არა გარეგნულ მხედრულ ატრიბუტებზე ბათ აღფრთოვანებენ ეს ჯარისკაცები მაყურებლის თვალს,—არამედ თავისუფალ შინაგან დისციპლინით, გამარჯვებულ და თავის ძალებში დარწმუნებულ ხალხის სულიერ განწყობილებით,—განწყობილებით, რომელიც გამოკრთის თვითეულ მათ მოძრაობაში, მათ სახეებზე.

3/4 საათზე მეტი დასჭირდა ჯარებს სარდლების წინ გასავლელათ: გაიარა ქვეითმა ჯარმა და ტყვიისმფრქვეველთა გუნდმა; გაიარა საუცხოვო არტილერიამ, რომელსაც მხურვალეთ ეგებებოდა ხალხი. მოსახვევში გამოჩნდა ცხენოსანი გვარდია მთავარ შტაბის თავმჯდომარის ვ. ჯუღელის მეთაურობით და გ. ხიმშიაშვილის წინამძღოლობით. ყოველ მხრიდან მოისმის აღფრთოვანებული ხმები: „გაუმარჯოს გვარდიას! გაუმარჯოს ჯუღელს"!

მქუხარე ტაშის ხმა, დაუსრულებელი ოვაციები... ეს—ჩვენი ძველი ბათომი ესალმება მათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა სახალხო ჯარს, ვინც 1918 წლის სამწუხარო მომენტის ისტორიაში სასიხარულო ფურცლები შეიტანა: ჩოლოქი და ვაშნაარი.

მწყობრათ და საუცხოვოთ მიდიან ცხენოსანი გვარდიელები. დაბოლოს მიდის ბათომის „არალეგალური" გვარდია, რომელსაც აღფრთოვანებული ხვდებიან. ეს ჩვენი ძველი ბათომელი მუშებია, რომლებიც ბათომში „უცხო რეაქციის" ყოფნის დროს არალეგალურათ შეიარაღდენ და შეკავშირდენ გვარდიელთა ბათალიონში. ამბობენ, რომ ინგლისის სარდლობას დიდათ გაუკვირდა, როდესაც რამოდენიმე დღის წინად უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გამოჩნდა შეიარაღებული და მშვენიერათ გაწვრთნილი რაზმი ბათომელ მუშებისა. უკვირდათ, თუ როგორ ვერ შეამჩნიეს „კონტრ-მზვერავებმა" მთელი სამხედრო ნაწილის მოწყობის ფაქტი. მაგრამ ის, ვინც კი იცნობს ბათომელ მუშების სარდაფებში მუშაობას, მინუსათ არ ჩაუთვლის ამ გარემოებას ინგლისურ „კონტრ-დამზვერავებს".

სამხედრო ნაწილების სვლა შეჩერდა ბათომის მუშათა ორგანიზაციების წითელი დროშების წინ. ქუჩები ხალხით არის სავსე. წესრიგი, რომელიც ქუჩებზე არსებობს მილიციონერების დაუხმარებლათ, მოწმობს იმას, რომ შეიარაღებულ ქართველ დემოკრატიის შესვლას ქალაქში თვით მისი მტრებიც კი ისე ხვდებიან, როგორც საჭირო, აუცილებელ „ისტორიულ მოვლენას". ამას დაამოწმებს ხვალ დენიკინელების „ნაშ კრაი" კი.

ჩვენ შევედით ბათომში, მაგრამ ბათომი ჯერ კიდევ ჩვენი არაა. იქ ჯერ კიდევ იმ ალაგს, სადაც ზღვის ნაპირზე ორი ქუჩა ჯვარედინათ ერთი მეორეს ხვდება, აღმართულია ანძა, რომელზედაც ფრიალებენ მოკავშირე სახელმწიფოთა დროშები.

### საქართველოს დროშამ შესცვალა მოკავშირეთ დროშები.

ქალაქის გადმოცემის ცერემონიალი დანიშნულია საღამოს 6 საათისთვის. [illegible], როდესაც ნავთსადგურზე გადმოსხეს ინგლისელების მეზღვაურები და ქვეითა ჯარი. აქვე მოვიდა საფრანგეთის საახალშენო ჯარი. მოისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ინგლისელების ჯარების სარდლების ხმა. ინგლისელების ჯარების მანევრები მოწმობენ, რომ უკანასკნელთ სურთ რაც შეიძლება ზეიმით ჩატარებულ იქნეს მომავალი ცერემონიალი. 6 საათზე სმეკალოვის ქუჩაზე გამწკრივდა ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია, შუა ქუჩაში ჯარების ცენტრში აღმართულია ორი ანძა: ერთზე ფრიალებს ინგლისელების დროშა, მეორეზე საფრანგეთის. დროშის გასწვრივ ჯარების უკან, აღმართულია ესტრადა, რომელზედაც მოთავსებულია საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, მოკავშირეთა მისიის წევრები (მათ შორის საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ. დე-მარტელი, რომელიც ტფილისიდან ევ. პ. გეგეჭკორთან ერთად ჩამოვიდა). ბრიტანეთის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის ადმირალი სეიმური, პოლკოვნიკი სტოკსი, დამფუძნებელი კრების წევრები, მეჯლისი და ნაციონალური საბჭოები ქუჩას მოუახლოვდენ მოკავშირეთა ჯარები და ჩვენი ჯარის წინ გამწკრივდენ. ინგლისელების მეზღვაურებს და ქვეითა ჯარისკაცებს ლამაზად ეცვათ და აკვირვებდენ თვალს სისუფთავით. ლამაზად გაპარსული ინგლისელთა თეთრი სახეების სიახლოვე უფრო ჩრდილავს ჩვენების მზისაგან ისედაც გაშავებულ სახეებს და გაცვეთილ ტანსაცმელთ. გრძნობ, რომ ეს ჯანსაღი მხარბეჭიანი ხალხი ბრძოლის ველიდან არის გამოსული. ბრიტანეთის დროშის გასწვრივ მოთავსდა ინგლისელების მუსიკა. საფრანგეთის დროშის გასწვრივ მოთავსებულია ცხენოსან გვარდიელთა დივიზიონის მუსიკა. სხვადასხვა ჩაცმულობა. (ინგლისელების კურტკები, ჩვენი ჯარების ხალათები, ცხენოსან გვარდიელების ჩერქესკა, თუშური ქუდები, ჩალის შლიაპები, მეზღვაურთა კასკები და აჭარლების ფესკები) ეს შერეული ტანსაცმელი და ფერები მეტად ლამაზ შთაბეჭდილებას იძლევიან. ჯარების ირგვლივ მდებარე სახლების აივნები, სახურავები, ფანჯრები ხალხით არის სავსე. ენერგიულად მუშაობენ ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აპარატები, აქა-იქ დარბიან კორესპონდენტები,—ხან ერთი მხრიდან და ხან მეორედან მიდი-მოდიან მოკავშირეთა და ჩვენი აფიცრები. გაისმის სიტყვა „სმენა" ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ჯარები გამწკრივდენ მწყობრად. მოკლე და ჩქარის ნაბიჯით გენერალი კვინიტაძე და კუკ-კოლისი შემოუვლიან მოკავშირეთა და ჩვენ ჯარებს. გენერალი კვინიტაძე დგება ქართველი ორკესტრის წინ, გენ. კუკ-კოლისი ინგლისელების ორკესტრის წინ. დადგა ყველაზე მეტად საზეიმო

მომენტი. გენერალი კუკ-კოლისი საკრებულოს გუმბათისაკენ იშვერს ხელს, საიდანაც წინასწარ გამზადებულ დროშის აწევით ნიშანს აძლევენ ბრიტანეთის კრეისერს. გაისმის ჯარების უფროსების ხმა, ჯარმა თოფები მოიმარჯვა და შორიდან გაისმა ზარბაზნების ხმა. ყველას თვალები მიმართულია ანძებისაკენ, რომელზედაც დროშები არის აღმართული. ორივე გენერლებმა თვალები მიაპყრეს ინგლისელების დროშას. დროშების წინ სდგას თითო მატროსი, ინგლისის დროშის წინ—ინგლისელი მეზღვაური, საფრანგეთის—ფრანგი მეზღვაური, მათ ხელში უჭირავთ ასაწევი თოკი. ინგლისურ ჰიმნს, მოჰყვა მარსელიოზა. გათავდა ჰიმნი დიდი რევოლიუციისა და ჩამოვარდა სიჩუმე. წვიმა ნელა სცრის, მაგრამ თითქოს მას ვერავინ ამჩნევსო. ზღვიდან მოისმის კვლავ ზარბაზნის ხმა. ბრიტანეთის და საფრანგეთის დროშა ნელა ეშვება ძირს, დედამიწაზე და მას აცილებს ათასი თვალი. ანძასთან მდგომი ამხანაგი მარწმუნებდა, რომ მეზღვაურს, რომელიც უშვებდა დაბლა ინგლისის დროშას, ხელი უკანკალებდაო. მეზღვაურებმა მოხსნეს თოკს ინგლისის დროშა და თოკს მოაბეს რაღაც საგანი, რომელიც ვერ გავარჩიე. ჩვენმა ორკესტრმა დაუკრა ქართული ჰიმნი, ჯარისკაცებს თოფები კვლავ ხელში მომარჯვებით უჭირავთ, გენერლები იმავე პოზებში დგანან. ყველას ყურადღება მიიპყრო იმან, თუ რას ამზობდენ ინგლისელები თოკზე. მახლობელ ნაპირიდან მოისმის გამაყრუებელი, ჩვენი ზარბაზნების ხმა. ჰიმნის დასასრულს კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც არღვევს ზარბაზნების ხმა. და ამ დროს ანძაზე ნელა ადის თოკით რაღაც დახვეული. როდესაც ის ავიდა მაღლა, ინგლისელმა მეზღვაურმა ხელი ჩამოჰკრა თოკს და მსწრაფათ ანძაზე გაიშალა საქართველოს ლამაზი დროშა. ათასი ათი ათასი პირთაგან აღმოხდა მქუხარე „ვაშა“, „გაუმარჯოს“ დაუსრულებელ ტაშს მხოლოდ ზარბაზნების ხმა ფარავდა. გეგონებოდა ეს ხმა და ზარბაზნების გრიალი არასოდეს შესწყდებაო.

ცერემონიალი დამთავრდა. ბათომი საქართველოს ნაწილათ გადაიქცა. ინგლისელების და ქართველების ჯარები მსწრაფლ მიეშურებიან. უცხოელები ესალმებიან ჩვენებს. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევ. გეგეჭკორი გენერლებთან ერთად, დამფუძნებელ კრების წევრნი და მეჯლისი დგებიან აღმართულ დროშის წინ, რომელთა წინაც გაიარა ცერემონიალი მარშით ჯარმა.

მხოლოდ მნახველს შეუძლიან წარმოიდგინოს ის, როგორის გაბედულის ნაბიჯით, გმირული სახის გამომეტყველებით მიდიოდა ქუჩაზე ჩვენი ჯარი და გვარდია. მათი თვალები ყველას თითქოს ეუბნებაო, რომ მათ ესმით მომენტის სიდიადე, ესმით გამარჯვების მნიშვნელობა და არავის დაუთმობენ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას.

**ჩვენს ბათომში.**

8 ივლისი. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. ქუჩებზე გამოჩნდნენ კარგად და კოხტად გამოწყობილი ქართველი მილიციელები. ინგლისელი ჯარისკაცები აღარ სჩანან. საგრძნობლათ შეიხედლა უსაქმური და მდიდრულათ მცხოვრები ხალხი, გაჰქრენ კოხტად გამოწყობილი მოუსვენარი სპეკულიანტები. აქა-იქ მოსჩანს უცხოელთა გემების თითო-ოროლა მეზღვაური. ჩვენი ჯარისკაცები ქუ- [illegible]

[illegible]

დეკობას გვიწევს. სტაროკონსტანტინოვკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მკაცრი ბრძოლების შემდეგ უკუაგდეს მტერი და 8 ივლისს ქალაქი სტარო-კონსტანტინოვკა დაიჭირეს.

**პოლონეთზე გამარჯვება მაშინ შეიძლება, თუ ვრანგელი დამარცხდა.**

გენერალი ვრანგელის თეთრი ნაწილები განაგრძობენ სამხრეთ რუსეთში წინსვლას. დადგა ყველაზე უფრო მძიმე მომენტი უკრაინელ მუშებისათვის და გლეხებისათვის. გენერალმა ვრანგელმა თავისი ჯარები უკრაინის ყველაზე უფრო მოსავლიან ადგილებში შეიყვანა და ამ ჟამად ლამობს დვინისაკენ გაიჭრას. ვრანგელის წინსვლამ საბჭოთა რესპუბლიკას უკვე აურაცხელი ზიანი მოუტანა. ვრანგელის ჯარების სულ უმნიშვნელო გამარჯვებაც კი ახალ განსაცდელს გვიქადის. პური, ნახშირი და ნავთი, რომელიც მუშების და გლეხების სახსნელად იყო დანიშნული, გროზნაში იმყოფება. დონი და ყუბანი, რომელიც მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილების სისხლით იქნა განთავისუფლებული დენიკინისაგან, კვლავ ვრანგელის საშიშროების ქვეშ იმყოფება. დასავლეთის ფრონტზე ძლევამოსილათ მიმავალ წითელ ჯარის ზურგში ოქრო-გვარდიელები ყველაფერს ანგრევენ და სურთ მომავალი ზამთარი უფრო მძიმე და აუტანელი გახადონ, ვიდრე 1919 წ. ზამთარი იყო. გამარჯვება პოლონეთზე არ იქნება ნამდვილი გამარჯვება, თუ ვრანგელი არ იქნა განადგურებული. ყირიმის ფრონტზე ჩვენ კიდევ არ გაგვისრესია დენიკინის თეთრგვარდიელების დარჩენილი ნაწილები. შიმშილი, სრული არევ-დარევა, ტრანსპორტის დაშლა სათბობ მასალის ნაკლებობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ვინაიდან თავის დროზე სათანადო ენერგია და სიმტკიცე არ იყო გამოჩენილი სამხრეთის კონტრრევოლიუციის მოსპობაში. დაყოვნება შეუძლებელია. ვრანგელი უნდა მოვსპოთ ისე, როგორც მოვსპეთ დენიკინი. უდიდესი დანაშაულება იქნება, თუ ჩვენ ყველა ძალებს არ მოვიკრებთ, თუ არ შევაჩერებთ ვრანგელის წინსვლას და ყირიმის თეთრ გვარდიელებს არ მოვსპობთ. ცეკა მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის ყველა წევრს, ყველა პროფესიონალურ კავშირს, და საერთოდ მუშების ყველა ორგანიზაციას დასვან დღიურ წესრიგში საკითხი ვრანგელთან ომის გაძლიერების შესახებ. პარტიის მთელი ყურადღება ყირიმის ფრონტს უნდა მიექცეს. ამხანაგი—მოხალისეები სამხრეთისაკენ უნდა გაეშურნენ. ყოველ მუშას, წითელ არმიელს უნდა განუმარტონ, რომ პოლონეთზე გამარჯვება მაშინ შეიძლება, თუ ვრანგელზე გავიმარჯვებთ.

**მუსტაფა ქემალ ფაშას დელეგაცია.**

გაზ. „ტანის“ ცნობით მუსტაფა ქემალს ევროპაში ბაქოთი, ასტრახანით მოსკოვით და შემდეგ ბალტიის ზღვით გაუგზავნია დელეგაცია, რომელსაც დაევალა დამოკიდებულების დამყარება იტალიის და საფრანგეთის მთავრობებთან. დელეგაციას, რომელშიც ვაშინგტონში, რომში და ამსტერდამში მყოფი ოსმალეთის ელჩები შედიან, დაევალა გადასცეს მოკავშირეთა მთავრობებს [illegible]

[illegible]

## ახალი ამბები

[illegible]

## დამფუძნებელი კრება

9 ივლისის სხდომა.

[illegible]

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**მთავრობის თავმჯდომარის წერილი.**

ალ. ლომთათიძე კითხულობს დამფუძნებელ კრების სახელზე გამოგზავნილ შემდეგ ქაღალდს:

„საქართველოს ორი წლის ბრძოლა გაერთიანებისათვის დაგვირგვინდა სრული ჩვენი გამარჯვებით. შვიდ ამ თვეს ბათომი და მისი ოლქი მოკავშირე სახელმწიფოებმა დიდის ზეიმით გადმოგვცეს. ქ. ბათომში მათი დროშების ალაგასააფრიალეს ჩვენი დროშა (მქუხარე ტაში). ქალაქი და ყველა სახელმწიფო დაწესებულება იმავე დღეს დაიჭირა ჩვენმა ადმინისტრაციამ და მოხელეებმა. ოლქის სხვადასხვა პუნქტები უკვე დაიჭირა ჩვენმა ჯარის ნაწილებმა და ყოველგან აღმართეს საქართველოს დროშა. ქალაქის და ოლქის ჩაბარება მოხდა და ხდება სრულიად უინციდენტოთ ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობით და თანაგრძნობით (ტაში). მთავრობა დაამყარებს რა წესიერებას მთელს ოლქში შეუდგება ოლქის მოწყობას თანახმად რესპუბლიკის კანონებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ გამოთქმულ სურვილისა და მათ მიერ არჩეულ პირების მონაწილეობით. გაუწყებთ რა ამ სადღესასწაულო ამბავს, ვულოცავ დამფუძნებელ კრებას და მასთან ერთად მთელ ხალხს სამუსილმანო საქართველოს დედა-ერთან შემოერთებას, გათიშული ძმების კვლავ ერთად თავის მოყრას და ისტორიულ გზაზე ხელიხელ ჩაკიდებულ გამოსვლას. მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.** (ძლიერი ტაში).

**დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სიტყვა.**

**ალ. ლომთათიძე.** მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! საქართველოს ხალხმა მიაღწია თავის ისტორიულ მიზანს, საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც დღემდე საქართველოს ხალხის და ერის მავნე ელემენტების მოქმედებას, სამწუხაროდ, გასავალი ჰქონდა დღეს ეს ტერიტორია საქართველოს დემოკრატიის, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. და იქ ფრიალებს საქართველოს ერის დროშა, დროშა სისხლში განბანილი, ბრძოლის ცეცხლიდან გამოტანილი საქართველოს მუშა ხალხისა და დემოკრატიის მარჯვენის წყალობით. მე მგონია, მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო, გამოვთქვამ საერთო აზრს და მისწრაფებას, თუ ვიტყვი, რომ დღეიდან დაწყებული ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დაგვირჩა, რომ მთელი ჩვენი ძალა, უნარი და ნიჭი, სახელმწიფოებრივი გამოცდილება მოვანდომოთ იმას, რომ ეს მხარე არ ჩამორჩეს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებს. დემოკრატიულ საქმიანობის, დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცების დროს ჩვენ დავემყარებით ადგილობრივ მცხოვრებთ და მათი მისწრაფებანი დაკმაყოფილებული იქნება.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამიერიდან აღარ ექნება ადგილი, ისეთ სამწუხარო მოვლენებს, რომელსაც აქნობამდე ჰქონდა ადგილი. და გაერთიანებული დემოკრატია საქართველოსი, საქრისტიანო საქართველო სამუსულმანო ნაწილთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული, თავიანთ დამფუძნებელი კრების და ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის ბრძნულ ხელმძღვანელობით დასძლევენ ყოველივე დაბრკოლებებს და მიაღწევენ იმ მიზანს, რომელიც დემოკრატიამ დაისახა. ბათომის გადმოცემა,—ეს ნიშნავს პირდაპირ გზის გაკაფვას ევროპისაკენ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ, რომ განვამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკა, რომ აღორძინდეს ეკონომიურად ჩვენი სახელმწიფო, აყვავდეს ჩვენი ხალხის დოვლათი და გაძლიერდეს კულტურა. ამ იმედით მივესალმები გაერთიანებულ საქართველოს ერს, საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს და ვუსურვებ ჩვენს სახელოვან გუშაგებს—ჩვენს ჯარს და გვარდიას გამარჯვებას და დღეგრძელობას. (ძლიერი ტაში).

შემდეგ ამისა სოც.-დემოკრ. ფრაქციის წინადადებით სხდომა დაიხურა და დეპუტატები კარებისაკენ გაეშურენ. დამფუძნებელი კრების წინ და ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო მოგროვილი წითელი დროშებით...

## ჩემი პასუხი „ახალ სხივს“*)

„ახალი სხივის“ № 10-ში მოთავსებულია ჩემდამი პასუხი. საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით ვუპასუხო, ვინაიდან წერილში რედაქცია თავდაცვიდან თავდასხმაზეც გადმოდის.

„ახალი სხივი“ ცდილობს ჩემ მიერ წამოყენებული ბრალდება გრ. გიორგაძისადმი მიაფუჩეჩოს და სიმძიმის ცენტრი უბრალო ფაქტზე გადაიტანოს, თითქოს იმათთვის იმას კი არ აეწვას პირი, რომ მე გიორგაძეს „კოსმოსის“ ვექილობა ვუკიჟინე, არამედ ის, რომ მე ყრილობაზე მას რეპლიკა მივეცი „თქვენ ფრაქციის უმცირესობას წარმოადგენთო“. ასეთი რეპლიკისათვის მე მქონდა საბუთი, რადგანაც გიორგაძის მოხსენებაში, რომელიც მან ყრილობაზე გააკეთა და რომელიც სტენოგრაფიულ ანგარიშში სავსებით იქნება მოყვანილი (და არა ისე შემოკლებით, როგორც „ახალ სხივშია“), ტენდენციურათ იყო გაშუქებული „პოზიცია-ოპოზიციის“ საკითხი ფრაქციაში, რაზედაც ბევრმა ამხანაგმა დეპუტატმა ჩემთან ერთად უკმაყოფილება გამოსთქვა მისი მოხსენების ასეთი ხასიათის გამო. მაგრამ ეს მაინც არ იყო იმდენათ ყურადღების ღირსი და სიმართლე უნდა ითქვას, არც არავის მიუქცევია მაინცა და მაინც დიდი ყურადღება ამისთვის.

თქვენ გაგაწიწმატათ მეორე ჩემმა გამოსვლამ, რომელმაც გვარიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენათ, მაგრამ როგორ მოიქცეოდით—ფაქტებს ხომ ვერ გაექცეოდით. თქვენ ეხლა ცდილობთ, რომ შეარბილოთ ეს გარემოება და ამბობთ: გიორგაძე მხოლოთ იურიდიულ რჩევას აძლევდა „კოსმოსის“ ფირმას და არასოდეს ისეთ საქმეში არ გამოსულა, რომელიც მთავრობას ეხებოდაო. ამაზე მოგახსენებთ, რომ იურიდიული რჩევის მიცემაც მთავრობის კონტრაგენტისათვის საკმარისია იმის დასამოწმებლათ, რაც მე წამოვაყენე ბრალდებათ და თუ მაინც და მაინც გინდათ დაგისახელოთ ფაქტი, როცა ის (გიორგაძე) ისეთ საქმეში გამოვიდა, რომელიც მთავრობას ეხებოდა, ამასაც დაგისახელებთ: ეს გახლდათ ის ფაქტი, რომ გიორგაძე იღებდა მონაწილეობას „კოსმოსსა“ და მომარაგების სამინისტროსთან არსებულ მოლაპარაკებაში, ვითარც წარმომადგენელი „კოსმოსისა“ და ამ მიზნით ის რამდენიმეჯერ იყო აღნიშნულ სამინისტროში. ამას თვით გიორგაძე არ იუარებს და თქვენ, მისო დამცველებო, „ნამეტანს იცავთ“ გიორგაძეს, როცა უარყოფთ იმას, რასაც თითონ ადასტურებს.

რაც შეეხება იმას, რომ გიორგაძე ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარეა, რომელიც დარაჯათ უნდა უდგეს ეთიკას და სიფაქიზეს ვექილთა პროფესიაში, მე მოგახსენებთ, რომ მით უარესი ასეთი თანამდებობის პირისთვის ასეთი „შეთავსება“.

ჩემს გამოსვლას თქვენ საზიზღრობას უწოდებთ,—ეს გემოვნების საქმეა, ჩემის ფიქრით კი საზიზღრობა ასეთ მოქმედებაზე ხელის დაფარებაა, რა გინდა „ძველი“ მომუშავენი არ სჩადიოდენ ასეთ საქმეს.

შემდეგ თქვენ ცდილობთ, ასე ვსთქვათ, „გული მომიკლათ“ და ამბობთ, რომ ალბათ სხვისი დავალებით მოიმოქმედეთ ესო. თქვენ ყველამ კარგათ იცით, რომ მე არავისი დავალება არ მესაჭიროება, მაგრამ [illegible] გაეწყობა —გაზეთი თქვენია და რაც გინდათ იმას დასწერთ შიგ. ამით ვათავებ კამათს იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც პარტიულ ყრილობაზე მოხდა.

შემდეგ ორიოდე სიტყვა იმ მიკიბულ-მოკიბულ ამბავზე, დეპუტატების „შეთავსებას“ რომ შეეხება. თქვენ სწერთ: მიგეხედა ფრაქციაში და დაინახავდი, რომ ზოგიერთი დეპუტატები კანონის წინააღმდეგ შეუთავსებელ სამსახურში არიან, ჯამაგირსაც იღებენო და შემდეგ მეკითხებით: შეიძლება იცნობდეთ ისეთ პირს ფრაქციაში, რომელსაც თქვენი სახელი აქვს, გვარიც თქვენსას მიუგავს და ასეთ შეუთავსებელ ადგილზე ითვლებაო. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ: მართალია 1 დეკემბრიდან 1919 წ. 1 ივნისამდე 1920 წლისა მე ვიყავი მუშათა მაგიდის რწმუნებულათ, სადაც ვმუშაობდი სრულიად უსასყიდლოთ და არავითარი გასამრჯელო მე იქიდან არ ამიღია. მე არავითარ შეუთავსებლობას არ ვხედავდი ჩემს მოვალეობაში, რადგანაც ჩემი მუშაობა სრულიად დამოუკიდებელი იყო; არა ნაკლებ დამოუკიდებელი, ვიდრე რომელიმე მინისტრის ამხანაგისა, და თავი დავანებე არა იმისთვის, თითქოს ის „შეუთავსებელი სამსახური“ ყოფილიყოს, არამედ — უდროობის გამო. დასასრულ თქვენ ამბობთ, რომ დეე ამხანაგებმა განსაჯონ და დააფასონ ვ. წულაძის გამოსვლა ყრილობაზეო. მოგახსენებთ, რომ დიდმა უმრავლესობამ ამხანაგებისამ უკვე დააფასა ეს ფაქტი და უნდა ითქვას, რომ ეს დაფასება თქვენდა სასარგებლოდ არ არის.

**ვ. წულაძე.**

*) რედაქციის მიზეზით ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.

## ჯარისკაცთა და გვარდიელთა მშობლების საყურადღებოთ

აჭარლებთან შეტაკების დროს 1 ივლისს დაიჭრენ მე-4 ქვეითა ათსეულის ჯარისკაცები და ახალციხის რაიონის გვარდიელები, რომელნიც მოსარჩენათ იმყოფებიან სოფელ ადიუგენში № ბრიგადის შემხვევ რაზმის ლაზარეთში:

1) ჯარისკაცი ჩუბინიძე ვარლამი, შორაპნის მაზრიდან, სოფ. ქვაციხე, დაჭრილია მარცხენა ფეხში.

2) ჯარისკაცი ახალაძე სიმონი, ქუთაისის მაზ. სოფ. წყალტუბო, დაჭრილია მარჯვენა ლოყაში.

3) ჯარისკაცი ჭიჭალეიშვილი მელიტონი, ოზურგეთის მაზ. სოფ. ნიგოითი, დაჭრილია მარცხენა ხელში.

4) გვარდიელი ბაღდოშვილი გაბრიელ, ახალციხის მაზ. სოფ. სუდე, დაჭრილია მარჯვენა ხელში.

5) გვარდიელი გოზალაშვილი სერგო, ახალციხის მაზ. სოფ. ვალე., მარცხენა ბეჭიდან ტყვია გასულია მარჯვენა ბეჭის ზედაპირზე.

დაჭრილები ყველანი კარგათ გრძნობენ თავს, ჭრილობებიც უმრთელდებათ და მშობლებს მათი ჯავრი სრულიად ნუ ექნებათ. სულ ახლო მომავალში ყველანი მორჩენილნი ჩამოვლენ სახლებში.

№ ბრიგადის შემხვევ-სამკურნალო რაზმის ექიმი **ხოსო ასლანიშვილი.**

## სასამართლოში

**ყოფილ გენერალ-გუბერნატორის შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე.**

5 ივლისს თფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე, მაგრამ რადგანაც ამ დღისათვის საკმაო რიცხვი ნაფიც მსაჯულთა არ გამოცხადდა, სხდომა გადაიდო 6 ივლისისათვის.

6 ივლისს გამოცხადდა 18 ნაფიცი მსაჯული. სხდომას ხსნის თფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მ. ორჯონიკიძე. ბრალდებულ ჩაჩიბაიას და ხოშტარიას თამცველნი მოითხოვენ ნაფიც მსაჯულთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო საქმის გადადებას. შ. მაღლაკელიძის დამცველნი კი დაბეჯითებით მოითხოვენ საქმის დაწყებას. კამათის შემდეგ თავმჯდომარემ გადასწყვიტა საქმის დაწყება. ნაფიც მსა-

[illegible]

...კომისარიატი ყოფილი ბუჰგალტერი ვალენტინი ვიკენტის ძე იუშკევიჩი, 5) თფ. საგუბერნიო ბათალიონის კვარტიმეისტერი ნესტორ სვიმონისძე ხოშტარია და ახალციხის ყოფილი კონსული(?)ალექსანდრე იოსების ძე აზნაუროვი. კითხულობენ მოწმეთა სიას. სხდომის შეწყვეტის დროს ორი ნაფიცი მსაჯული სასამართლოში აღარ აღმოჩნდა, რის გამო სხდომა გადაიდო საღამოს 6 საათზე. საღამოს კვლავ არ ცხადდება კანონიერი რიცხვი ნაფიც მსაჯულთა და ამის გამო სხდომა გადაიდო 7 ივლისისათვის. ამ დღეს კანონიერი რიცხვი ნაფიც მსაჯულებისა გამოცხადდა. სხდომის გახსნისას ჩაჩიბაიას დამცველი ნაფიცი ვექილი ქავთარაძე მოითხოვს, რომ ოქმში იქნას შეტანილი ის, რომ ზოგიერთი ნაფიც მსაჯულნი კომისარიატმა ძალათ მოიყვანა. თვით ნაფიცი მსაჯულნი კი აცხადებენ, რომ არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, მათ ჩაბარეს უწყება და ისინი თვით გამოცხადდენ. შემდეგ ამისა მხარეებს ეძლევათ წინადადება, თუ სურთ ამოშალონ სიიდან ნაფიცი მსაჯულნი (კანონის თანახმათ მხარეებს მინიჭებული აქვთ უფლება სამ სამი ნაფიცი მსაჯული ამოშალონ დაუსაბუთებლივ, სამ-სამი კი დასაბუთებით). ბრალმდებელმა არავინ ამოშალა, დამცველნი კი შეთანხმებით შლიან სიიდან სამ პირს. დახურულ კენჭის ყრით ნაფიც მსაჯულებათ არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი 1) რევაზ გაბაშვილი, 2) ანდრ. ბიბილოვი, 3) ალ. ციციშვილი, 4) ზაქ. სულხანოვი, 5) გრ. ასიტოვი, 6) ან. გალიტაშვილი, 7) ევტ. ქარცივაძე, 8) გრ. სირაძე, 9) ვაჩნაძე, 10) ვასილ ბარნოვი (მწერალი), 11) ის. რაზმაძე, 12) ვახ. რატიშვილი. სათადარიგო მსაჯულებათ: ილ. რაზმაძე და თამარა ასლანიშვილი. გრ. სირაძე ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა ნაფიც მსაჯულის მოვალეობის ასრულებიდან და მისი ფუნქცია დაეკისრა ილ. რაზმაძეს.

ნაფიცმა მსაჯულებმა თავიანთ მამასახლისათ აირჩიეს რევაზ გაბაშვილი შემდეგ ამისა სასამართლოს მდივანი კითხულობს საბრალმდებლო ოქმს, რომელიც შეიცავს 30 დაბეჭდილ გვერდს. ბრალდებულთ შემდეგი ბრალდებები აქვთ წაყენებული:

1) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაის და აზნაუროვს ბრალი ედებათ მასში, რომ პირველმა ორმა ახალციხეში მაზრის უფროსად მაღლაკელიძის ყოფნის დროს მილიციის შესახებად მიღებულ თანხიდან ურთიერთ შორის შეთანხმებით მიითვისეს 16,288 მან. და შემდეგ ამ ბოროტ-მოქმედების დასაფარავად შეადგინეს ყალბი ხელწერილები ჩაჩიბაიას და აზნაუროვის სახელით.

2) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაის და იუშკევიჩს—მასში, რომ 1918 წ. დასასრულს ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით მიითვისეს საგუბერნიო ბათალიონის შესანახად გამოწერილი ფული 20,000 მან. და ბოროტ-მოქმედების დასაფარავად შეადგინეს ყალბი ხელწერილები ფიქტიურ პიროვნებათა სახელით, რომელიც ანგარიშიც წარადგინეს სახელმწიფო კონტროლში.

3) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაიას, შენგელიას და იუშკევიჩს მასში, რომ 1919 წლის იანვრიდან დაწყებული მაისის გასვლამდე ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით მიითვისეს 550,000 მან., რომელიც იყო საგუბ. ბათ. შესანახად საავახსო ანგარიშებით და რომელი თანხაც არ არის დაბრუნებული ამ ბოროტმოქმედების გამომჟღავნების შემდეგაც; იგი ეთვე ბრალი ედებათ მასში, რომ ბოროტმოქმედების დასაფარავად ყალბი ანგარიშები შეადგინეს და სახელმწიფო კონტროლს წარუდგინეს. იუშკევიჩს ბრალი ედება აგრეთვე მასში, რომ 1919 წლის აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს საანგარიშო ნაწილის უფროსის შახნაზაროვის მოთხოვნით გასცა ცნობა კომისარიატის ფულის დავთრიდან და მასში აშკარა ყალბად აღნიშნა ის თანხა, რომელიც გაცემული იყო საგუბერნიო ბათალიონის შესანახად.

4) მაღლაფერიძეს ბრალდება კიდევ ის, რომ 1918 წლის ივლისისა და 1919 წლის პერიოდში, როდესაც მას თავის განკარგულებაში 400,000 მან. ჰქონდა ანარქიასთან საბრძოლველად, გადაამეტა თავის ხელის უფლებას, რომელიც გამოიხატა შემდეგში: 1) თვითნებად დანიშვნასა და დღიურ ფულის გაცემაში მის განკარგულებაში თელავში მყოფ რაზმის წევრთათვის: 50—200 მან. დღეში მაშინ, როდესაც ეს პირები იღებდენ ჯამაგირსა და დღიურ ფულს, 2) სხვა და სხვა პირისადმი ფულის გაცემაში მაშინ, როდესაც ამგვარად გაცემულ ფულის გასამართლებელი საბუთი არ წარუდგენია და 3) იმაში, რომ დანიშნა თავის რწმუნებულად ახალციხეში მოქალაქე ალექსანდრე აზნაუროვი და დაუნიშნა მას ჯამაგირი, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიურ მხარეს თვალსაჩინო ზიანი მიაყენა.

5) მაღლაკელიძეს და ხოშტარიას ბრალი ედებათ: პირველს მასში, რომ გადაამეტა თავის ხელისუფლებას და თფილისის საგუბერნიო ბათალიონის გაუგებრად და მთავრობის ნებადაურთველად ბათალიონის კვარტირმეისტერს ნესტორ ხოშტარიას მისცა ბათალიონისათვის სანოვაგის შესაძენად 100,000 მან., რომელი ფულიც ხოშტარიამ მიითვისა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიურ საქმეს თვალსაჩინო ზიანი მიაყენა; ხოშტარიას ბრალი ედება იმაში, რომ მაღლაკელიძისაგან შეშისა და სანოვაგის სასყიდლად 100.000 მან. მიიღო და მიითვისა.

თავმჯდომარე ყველა ბრალდებულთ განუმარტავს იმ ბრალდებებს, რომელიც მათ ედებათ. თავმჯდომარის შეკითხვაზე—სცნობს თუ არა მაღლაკელიძე თავს დამნაშავეთ, უკანასკნელი აცხადებს, რომ იგი არც ერთ წამოყენებულ ბრალდებაში არ სცნობს თავს დამნაშავეთ; ჩაჩიბაია აცხადებს, რომ იგი თავს სცნობს დამნაშავეთ მხოლოდ 550,000 მ. მითვისებაში, დანარჩენებში არ მიმიძღვის ბრალიო. აზნაუროვი აცხადებს, რომ იგი არ სცნობს თავს დამნაშავეთ, ასეთივე განცხადებას აკეთებს იუშკევიჩი. შენგელაია აცხადებს, რომ იგი სცნობს თავს დამნაშავეთ მხოლოდ 400 ათას მანეთის მითვისების საქმეში. ხოშტარია აცხადებს, რომ იგი არ სცნობს თავს დანაშავეთ. შემდეგ ამისა დაფიცეს მოწმეები და სხდომა შესწყდა 8 ივლისამდე.

## რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(გაგრძელება)

სამოსწავლო კომიტეტის თავმჯდომარე ს. დოლიძე კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს.

რკინის გზის სკოლების საქმებს განაგებს სასწავლო განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია სამოსწავლო კომიტეტის წინაშე. სამოსწავლო უწყებაში შედის: გამგე, ინსტრუქტორი და მდივანი; სამოსწავლო კომიტეტში კი შედის 13 კაცი, 5 ყრილობიდან არჩეული და ხუთი მასწავლებლებიდან და სამიც სამოსწავლო უწყებიდან.

სამოსწავლო კომიტეტი ამტკიცებს ყოველგვარ ხარჯთ-აღრიცხვას და მასწავლებლების კანდიდატთა სიას, რომელსაც წინდაწინ ადგენს სამოსწავლო განყოფილება. რკინის გზის სკოლების იდეურ მხარეს და პროგრამებს განაგებს განათლების სამინისტრო, მართვა-გამგეობა კი კომიტეტის ხელშია, რომელსაც შესაფერისად მიყავს საქმე. წელს სამოსწავლო კომიტეტის მუშაობა ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობდა. ვუძლვებოდით არსებულ სკოლებს და ვხსნიდით პარალელურ კლასებს, სადაც კი ამის საჭიროება იყო. სამოსწავლო წლის დასაწყისს გადაწყვეტილია მრავალ კომპლექტიან სასწავლებლების დაყოფა სამტრედიაში, ხაშურში და თფილისში. ეს დადგენილება სამოსწავლო კომიტეტმა რამოდენიმე თვის წინად გამოიტანა, მაგრამ სამოსწავლო წლის დაწყებამდი, ვერ მოვახერხეთ. მომავალ ენკენისთვიდან უნდა გაიხსნას პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი ქუთაისში და ზესტაფონში. ზოგ ალაგას ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ საჭირო ბინები არ იშოვება სასწავლებლების მოსათავსებლად. ამ მხრით მწვავეთ დგას საკითხი ნავთლუღის რაიონში, სადაც შკოლა მოთავსებულია სადგურიდან შორს მანძილზე, სადაც ბავშვებს ამის გამო უძნელდებათ სიარული, რითაც სწავლის საქმე ფერხდება. არის შესაფერისი ბინა სადგურთან, რომელშიაც მოთავსებულია სახ. გვარდ. შტაბი. ამ შენობის ერთი ნაწილი საკმარისი იყო შკოლისათვის, რომლის გადაკეთებას კისრულობდა სამოსწავლო კომიტეტი, მაგრამ ეს შენობა გვარდიის შტაბმა არ გადმოგვცა.ადგილობრივი ამხანაგების დახმარებაა საჭირო ამ საქმეში, თორემ უბინაობის გამო შეიძლება ეს შკოლა კიდევაც დაიკეტოს. განზრახულია ახალი სკოლების გახსნა ბათომში და სანაინში. სამოწავლო კომიტეტმა ერთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც შეიძლება ბევრმა შეცდომად ჩაგვითვალოს,—ეს არსებულ პანსიონების დაკეტვა იყო, რომელიც იყო თფილისში და სამტრედიაში. ვინც არ იცის ამ პანსიონების ისტორია, მისი დაკეტვის მიზეზი, იმას გაუკვირდება და საყვედურებით მოგვმართავს. ორ არსებულ პანსიონში იმყოფებოდა ორმოცამდე ბავშვები და მათზე იხარჯებოდა მთელი ის შემოსავალი, რომელიც სამოსწავლო საქმისათვის შემოდის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების 1/2%-დან. თბილისის პანსიონებში ისეთი ბავშვები იყო თავმოყრილი, რომ მათი გამოსწორება კარგმა პედაგოგებმაც კი ვერ შეძლეს, საჭირო იყო რეორგანიზაცია და კარგ ნიადაგზე დაყენება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ ვარჩიეთ დაკეტვა. პანსიონში მყოფ ბავშვებს, რომელთაც მშობლები ჰყავს, ჩვენ დაუნიშნეთ ათასი მანეთი სტიპენდია; რომელთაც ჰირისუფლები არ ყავთ,—მათ კი მუდმივ დახმარებას ვაძლევთ და ვაბარებთ კერძო ოჯახებს. შარშან 1% შემოგვდიოდა თვიურად მუშა-მოსამსახურეებიდან, ყრილობამ ჩამოგვაკლო 1/2% და ამით შემოსავალიც შემცირდა. თუ მომავალი ყრილობა გაადიდებს ამ პროცენტს, ჩვენ საშუალება გვექნება გავხსნ.თ პანსიონები და ფართოდ დავაყენოთ იქ საქმე. სამოსწავლო კომიტეტი მოქმედობს ძველი შემუშავებული წესით, სადაც ანორმალური მდგომარეობაა იმ მხრით, რომ სამოსწავლო კომიტეტში გადამწყვეტი ხმით შედიან ისეთი პირებიც, რომელნიც ყრილობისაგან არ არიან არჩეულნი.

ეს მდგომარეობა ჩვენ გამოვასწორეთ ახალი წესდების შემუშავებით, რომელიც მომავალ ყრილობას წარედგინება და ვიმედოვნებთ კიდევაც დაამტკიცებს. თუმცა ზოგიერთი მუხლი ახალი წესდებისა უკვე განვახორციელეთ, მაგრამ არის ისეთი მუხლები, რომელიც ყრილობამ უნდა გადაჭრას. აღებული გვაქვს საზაფხულოდ პატარა მოწაფეებისათვის კოჯორში აგარაკი, სადაც გვყავს ექიმი და ყოველივე სამეურნეო საქმე სასწავლო განყოფილებას აწევს კისერზე.

მოხსენებას ჰქონდა უფრო ინფორმაციული ხასიათი და რამდენიმე შეკითხვების შემდეგ, მიღებულ იქნა,—რომ ყრილობამ მოისმინა მოხსენება, არსებითად არ მსჯელობს და გადადის მორიგ კითხვაზე.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, სადაც გამოირკვა, რომ თანახმად გამომუშავებული წესისა, გამოცხადდა დელეგატები ყველა რაიონიდან სამ სამი, მთავარ სახელოსნოდან კი ხუთი. არის 4 დელეგატი სათათბირო ხმით. დამტკიცებულ იქნა 47 დელეგატი გადამწყვეტ ხმით და 4 სათათბიროთ. კონფერენციამ დაადგინა დღიურები მიეცეს როგორც ჩამოსულებს, ისე თფილისელებს, ნახევარი· ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. ცენტერაძისა პარტიულ კომისიის შესახებ, რომელიც გამოიხატება შემდეგში: პარტიული კომისიები ცენტრში და პერიფერიებში 2 წელია რაც არსებობს, რომელთაც ქონდა შესაფერი ინსტრუქცია. კომისიები არსებობდენ ორგვარი: პარტიული და დარგის (ტეხნიკური) კომისია. პარტიულ კომისიის მოვალეობას შეადგენდა მოსამსახურეების მიღება, დარგის კომისიას კი შეფასება შრომის და წარმატება და ამაღლება. ორივე კომისიაში ადმინისტრაცია მოწვეულია თანაბარი ხმით. პირველ ხანებში კომისიების მუშაობა ნაყოფიერი იყო, მაგრამ შემდეგ კი შეჩერდა, რაც, ალბათ, აიხსნება, როგორც რაიონების, ისე ცენტრის სიაუსტით. პარიტეტული კომისიები ეხლაც არსებობს და პირველად კანდიდატურა რაიონულ პარიტეტულ კომისიაში ტარდება და შემდეგ კი ცენტრის პარიტეტულ კომისიას ეგზავნება უკანასკნელი სიტყვის სათქმელად. პარიტეტული კომისია არსებობს სამ უმთავრეს დარგში: მოძრაობის, სალიანდაგოს და წევის დარგში. მოძრაობის დარგი დიდმნიშვნელოვანი დარგია და აქ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოსამსახურეების მიღება ყოფილიყო მხოლოდ ცენტრის პარიტეტულ კომისიის საქმე. ამ დარგში ცენტრალიზაცია მოვახდინეთ, რაც აუცილებელი იყო და სასარგებლოც აღმოჩნდა, სხვა ორ დარგში—ლიანდაგის და წევის დარგში კი ადგილობრივ პარიტეტული კომისიის უფლება დავსტოვეთ რაც ჯერ საჭიროა. მომავალში ვფიქრობთ მოვახდინოთ ყველა დარგის პარიტეტულ კომისიების ცენტრალიზაცია, რადგანაც მიღება-დათხოვის საქმე გამარტივებული უნდა იყოს და თხოვნები არ გადადიოდეს კანცელარიიდან კანცელარიებში. რაც შეეხება დარგის კომისიას, ის უნდა გაუქმდეს რაიონებში და იქნეს მხოლოდ ცენტრში. პარიტეტული კომისიის მუშაობაში ადგილობრივად შედის მხოლოდ დღიური მუშები და ხელოსნების მიღება, რომლის თხოვნებს ღებულობს ადგილობრივი რაიონული გამგეობა და თავის დასკვნით აგზავნის პარიტეტულ კომისიაში, სადაც ეს საკითხი სწყდება ცენტრის პარიტეტულ კომისიის დამოუკიდებლად. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

**კიკნაძე** მოითხოვს მიღება-დათხოვის საკითხი წყდებოდეს ადგილობრივად პარიტეტულ კომისიებში, რადგანაც ადგილობრივად უფრო სამართლიანობას ექნება ადგილი.

**ნინიძე.** კომისიების მუშაობა უნდა იყოს მარტივი და საქმეები არ უნდა ჭიანურდებოდეს. რაიონების დაუკითხავად არ უნდა ღებულობდენ არავის. ჩამოთვლის საიულისტრაციოდ ფაქტებს კომისიის შეცდომებისას.

**ი. გიორგაძე.** ცენტრალიზმი საჭიროა და სასარგებლო მუშაობისათვის და უმთავრესად წარმოებისათვის. თუ სხვა დარგებში არსებობს რაიონებში პარიტეტული კომისია, მაშინ მოძრაობის დარგშიაც უნდა იყოს, რადგანაც იქაც არიან დღიურები: სადგურის მუშები, მეისრეები, ტელეგრაფისტები და კონდუქტორები. წარმატება-აღმატების საკითხი უფრო მნიშვნელოვანია და ის ადგილობრივათ უნდა მუშავდებოდეს და არა ცენტრში.

**მანჯგალაძე.** მომხრეა ცენტრალიზაციის, რადგანაც რაიონებში უფრო ბევრი შეცდომებია ამ შემთხვევაში მოსალოდნელი.

კამათი წყდება და მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ კრება ღებულობს ზოგად პრინციპს მუშაობისას: დაარსდეს რაიონებისთვის და ცენტრისთვის ერთი პარიტეტულ-ტეხნიკური კომისია. პარიტეტულ კომისიაში წევრთა რიცხვი განისაზღვრება 4—6-ით, თავმჯდომარეს ირჩევს თვით პარიტეტული კომისია, სადაც თანაბარი მხრით წარმოდგენილია კავშირის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

დაბოლოს მიღებულ და დამტკიცებულ იქნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი პარტიულ კომისიის სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

გალო ხელიაძე.

(შემდეგი იქნება)

**შეცდომის გასწორება.** ადგილებიდან მოხსენებებში ფოთიდან სწერია: მომხსენებლად სიხარულიძე. უნდა იყოს: **ჯაიანი.**

სამტრედიიდან: წააკითხეს ლექციები წერეთელს და სხვა, უნდა იყოს: წაიკითხეს რამიშვილმა და სხვა...

## მუშათა შორის

**მუშათა მიღება.** შრომის კომისარმა აუხსნა ზოგიერთ წარმოებებს, რომ სპეციალისტი მუშების შრომის ბირჟიდან მოთხოვნის დროს ისინი მოვალენი არიან მიიღონ მუშები ეროვნების და განურჩევლად.

**მუშათა გამორიცხვა.** შრომის კომისარი იუწყება: მუშების მიღება და გამორიცხვა ხდება ადმინისტრაციის ქარხნის კომიტეტთან შეთანხმებით. ქარხნის კომიტეტი მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ ადმინისტრაციამ მუშათა მიღებისა და გამორიცხვის კანონი არ დაარღვიოს.

**შრომის კომისარმა** შრომის სამინისტროში წარადგინა მოხსენება სად. ქსანთან არსებულ ანდროლატის კრამიტაგურის და კერამიკის ქარხნის მუშების მდგომარეობის გამორკვევის შედეგების შესახებ. სულ ქარხანაში 207 მუშაა. აქედან 70% ქართველია, 25% სომეხი, 5% რუსი, თათარი, იტალიელი, პოლონელი და სხ. მუშათა მდგომარეობა დაკმაყოფილებული არ არის. ადმინისტრაციას წინადადება მიეცა გააუმჯობესოს მუშათა მდგომარეობა.

## პროვინცია

**ბახმარო** (გურია). მოახლოვდა სეზონის გახსნის დრო და ბახმაროს საზ. „ჯანმრთელობის" გამგეობაც შეუდგა თადარიგს. მან მიმართა ოზურგეთის სამაზრო ერობას, რომ მიეღო ზომები ბახმაროს კეთილ-მოწყობისათვის. მიმდინარე სეზონში ერობის გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბახმაროს; მისი გამგებლობა და მოწყობა მიიღო თავის თავზედ. მან დანიშნა ერობის რწმუნებულები ბახმაროზე და მისცა ყოველივე საშუალებები აგარაკზე სეზონის მოწყობისათვის. იგზავნება ათი ივლისიდან მილიცია, საერობო აფთიაქი, ექიმი თანაშემწით და ბეითალი. აგარაკზე იქნება მოწყობილი ყოველდღიური ფოსტა, გაიხსნება სამკითხველო, მოეწყობა განათება, წყალსადენი მილები, დაცული იქნება სასტიკათ სანიტარული წესები და სხ. როგორც გაზეთებიდან ვიცით, წელს ბახმარო სამინისტროს მიერ ცნობილ იქნა კურორტათ და მთავრობის მიერ გამოკვლევების მოსახდენათ იგზავნება ექ. ცეცხლაძე. სამაზრო ერობამ დააწესა ვაკიჯვრიდგან ბახმარომდე ცხენებზე ნიხრი, ღებულობს ზომებს ოზურგეთიდან ვაკიჯვრამდე მიმოსვლის მოსაწყობად და აძლევს რამდენიმე სიმინდს ჯანმრთელობის გამგეობას. ჯანმრთელობის გამგეობა თავის მხრივ ღებულობს ყოველგვარ ზომებს სასადილოებისა, სახორცე და სხვა დუქნების მოსაწყობათ. ასე, რომ წელს 10—13 ივლისიდან იხსნება სეზონი, რომელიც შედარებით მოწყობილი იქნება.

ვლ. გ—ძე.

**ხონი.** 17 ივნისს, სამუსიკო საზოგადოების ადგილობრივმა ფილიალმა გამართა ვოკალური ინსტრუმენტალური საღამო, კონცერტი. კონცერტს ხელმძღვანელობდა ბატონი მ.კუხიანიძე. მომღერალთა გუნდმა მშვენივრათ შეასრულა „ნანა", „მერცხალი", „ინტერნაციონალური მარში", „ვარადო" და სხვა. კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო. შემოსავალიც კარგი იყო, რაც უკლებლივ გადაეცა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას.

ხონის რაიონის მასწავლებელთა კავშირმა მუშათა მაგიდიდან უკვე მიიღო თითქმის ნახევარ მილიონის სურსათსანოვაგე, რომელიც უკვე განაწილდა წევრთა შორის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სულზე თითო ფუთ ხორბლის მაგიერ მიიღებს მხოლოდ თერთმეტ-თერთმეტი გირვანქა, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მიღებაც ძლიერ გასჭირდა სიშორისა და უგზოობის გამო, რამაც ბევრი ხარჯები გამოიწვია.

ამიტომ მასწავლებლობას უფრო უკეთესად მიაჩნია სანოვაგის მიღების მაგიერ ჯამაგირების გადიდება.

Calis.

**ქ. ბორჯომი.** ბორჯომის რაიონის მცხოვრებლები ჩვეულებრივ დროსაც განიცდიდენ სიმშილს, რადგანაც აქ სახნავი მამული არ არის, არის მხოლოდ ტყე, აქაური ხალხი ხეს მუშაობს, გამოაქვთ ხე და აბარებენ ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველოს და იქიდან ანაღები ფულით ყიდულობენ სიმინდს. დღეს იქამდინ მივიდა მათი გაჭირვება, რომ ბაზარზედაც აღარ იშოვება ჭირნახული; ყველა ამას თან დაერთო ეს ბუნებრივი უბედურებაც: ისედაც დამშეულ და შეწუხებულ ხალხს ეწვია უარესი უბედურება: 1) 7—8 ივნისს დიდმა წვიმებმა და სეტყვამ მთლად გაანადგურა რაც დათესილი ჭირნახული იყო და ბოსტნეულობა, სოფ. ყვიბისში დაანგრია მრავალი სახლები, ბოსლები, წისქვილები და საღორეები, დაახრჩო მრავალი ძროხა, ღორი და წვრილფეხა საქონელი, იყო შემთხვევა, რომ ზოგიერთ სოფლებში ნიაღვარმა წისქვილს ძირი გამოაცალა და რაც სიმინდი იყო შიგ დაფქული თუ დასაფქვავი, სულ წაიღო. ზარალი მცხოვრებლებისა დიდია. ამის გამო, ხალხი მოითხოვს დახმარებას ვისგანაც ჯერ არს.

საჭიროა ბორჯომის რაიონს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როგორც გორის სამაზრო ერობისგან, ისე ერობათა კავშირიდან, რადგანაც ბორჯომის თემის გამგეობას არაფერი გააჩნია და ვერც დაეხმარება.

ქ. დინჯაძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ; ფოთის სანავსონო სანაპირო მუშებს, რომელთაც, ახლად გარდაცვალებული მათი ამხანაგი ბიქტორ ჟუბაბრიას სახელზე, შემოსწირეს ს. კოტიანეთის სამკითხველოს 3000 (სამი ათასი) მანეთი, და ადგილობრივ კოოპერატივის წევრებს, რომელთაც შემოსწირეს 600 მანეთი და აგრეთვე შემდეგ პირებს: კალისტრატე მაჟალაძეს, რომელმაც შემოსწირა 100 მან. ნესტორი ლეჟავას, 50 მან., დონია სიჭინავას ასულს 40 მან., მიხეილ გოგიას 35 მან., ვარლამ ცეკვაშვილს 10 მან., სალომე მაჯაგალაძისას ზუღალტერიის წიგნი, ძმ. მიხა და პლატონ კილასონიებს, რომლებსაც უფასოთ დააქვთ 12 ვერსის სიშორეზე სამკითხველოს გაზეთები და ჟურნალები.

სოფ. კოტიანეთის სამკითხველოს **გამგეობა.**

## ც ნ ო ბ ე ბ ი.

ბიქტორ შერთულის პირელს. გთხოვთ აუცილებლათ გვინახულოთ. ყიფიანის ქუჩა № 7. გედეონ ზურაბისძე დონაძე.

ჯარის-კაცი ნიკიფორე დოლიძე, რომელიც მსახურებდა სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატარეაში, გაწვეულ იქნა ადერბეიჯანის ფრონტზე და მას შემდეგ მის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგვიღია, თუ ვინმემ იცით მის შესახებ რაიმე, გთხოვთ დაჩქარებით გვაგებინოთ შემდეგ მისამართით: ოზურგეთი, გიორგი ჯინჭარაძეს*). ამ წერილთან ერთად მიღებული 6 მანეთი, გადაეცა „გორის ფონდს".

რედ.

## ჩვენი ფოსტა

**გორი.** მურადოვს მივიღეთ 250 მ. გვაცნობეთ დანიშნულება.

**ჭრებალო.** ალ. ოქტ. ბენდუქიძეს მივიღეთ 250 მან. გვაცნობეთ დანიშნულება.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

**ყოფილი დამაარსებელი და გამგე სრულ-უფლებიანი გ ი მ ნ ა ზ ი ი ს ა**
მათემატიკის მასწავლებელი, ივ. მარკ. მაჩაიძე. ამზადებს მოზრდილთა 4,5,6,7 კლას. შესასვლელად. ყველა სასწავლ. და მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე; მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: პლეხანოვის ქუჩა 25. (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქ. 5. 9—11 ს. 4—6 ს. საღ.
(2169—7—6)

ე ქ ი მ ი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ე ქ ი მ ი
**პ. გ. პართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264 თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

**ი ყ ი დ ე ბ ა**
**საკერავი მანქანა-შკაფი**
**ზინგერის სისტემისა.**
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი**
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. ალასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ე ქ ი მ ი
გენრის ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ე ქ ი მ ი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ე ქ ი მ ი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ე ქ ი მ ი
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ე ქ ი მ ი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25 3.

**250 მ ა ნ ე თ ა დ**
დიდი ხნის გამოცდილი საწერ მანქანაზე მასწავლებელი ქალი ასწავლის მსურველებს „ბლოკის" მეთოდით ორი კვირის განმავლობაში ქართულ მანქანაზე ბეჭდას, აცნობს ყოველ-გვარ საქმის ქაღალდებს და უხსნის ყველა უმთავრეს საიდუმლოებს. პირველი გაკვეთილი უფასოა. მოსწავლეებს გეგმა კლავიატურისა მიეცემათ უფასოთ. მიღება მოწაფეებისა ყოველ დღე დილის 11 საათიდან საღამოს 7 ს. მეცადინეობა სწარმოებს დღეში ერთი საათი. მისამართი 1-ლი კომისარიატი ვერა, წყნეთის ქუჩიდან მარცხნივ მეორე შესახვევი კობიის ქუჩით, შემდეგ მარჯვნივ მეორე შესავალი, მლეთის შესახვევი № 5 სახლი ღარიბოვისა. იკითხეთ შუა სართულში ქ-ნი ლუარსამიძე-ანდრიევსკისა. (2258—1—1)

**ქ. თფილისის სახლის პატრონთა კავშირი**
ამით აცნობებს იმ სახლის პატრონებს, რომლებსაც აქნამდის არ შემოუტანიათ ამ 1920 წლის საწევრო ფული დააჩქარონ შემოტანა. საწევრო ფულის შეგროვება დავალებული აქვს კავშირის აგენტებს, რომლებსაც აქვთ კავშირიდან სათანადო მოწმობა. კავშირთან დაარსებული არის უფასო კონსულტაცია. იქვე საჭირო არის აგენტები ფულების შესაკრებად. პუშკინის ქ. № 15.
(2244—3—1) გამგეობა.

**განცხადება**
რკ. გზის კოოპერატივში № 1, ვოკზლის ქ. იყიდება ყოველ დღე **ყინული** დილის 9—11 ს. ფუთი ღირს 50 მან. (ნ. 3—1)

**„ეშმაკის მათრახი" № 33**
გამოვიდა შემდეგი შინაარსით: ბათომის გარშემო—ისტორიკოსისა, ლექსები—შექანჯალებულისა, პატარა ფელეტონი—მორიელისა, გმირი—ბე-ეტისა, სცენა აჭარის ცხოვრებიდან—ჯიბილასი და სხვ. **კარიკატურები:** ორი სალახი (ყასაბი), საბჭოთა რუსეთის გამოჩენილი მსახიობი ლევ ტროცკი საუკეთესო როლში, უხვი მგზავრი, რეგისტრაცია, სასიქადულო თანამემამულე, ჩრეზვიჩაიკაში და სხვ.

**განცხადება**
11 ივლისს სოფ. სკრაში დანიშნულია ზეპირი
**საჯარო ვაჭრობა**
სკრის სახელმწიფო მამულის 35 დესიატინა ბაღის ამა წლის მოსავალზე. ვაჭრობა დაიწყება 1,800,000 მანეთიდან. ცნობის მიღება შეიძლება თფილისში სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგესთან (მიწათ-მოქმედების სამინისტრო) და სკრაში მამულის მოურავთან. (2199—3—3)